# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 23 აგვისტო, 2011 წელი.

№156 (6767)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge   ვებ გვერდი: www.open.ge   ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# რობერტ სტურუა საქართველოდან არ უნდა წავიდეს!





ჯემალ კასრაძის ფოტო

## გუშინ საპროტესტო აქციაზე რუსთაველის თეატრის წინ

– ეს საქმე ასე არ ჩაივლის, ამ საქმეს მსოფლიო გამოეხმაურება, – გვითხრა რუსთაველის თეატრთან სახელდახელო საპროტესტო აქციის დაწყების წინ ერთ-ერთმა ჩვენმა კოლეგამ, რომელიც, ჩვენსავით მოსულიყო აქ, რათა, **რობერტ სტურუას** „საქმის" ახალი დეტალები მოესმინა თვითონ რეჟისორისგან, ანდა, რუსთაველის თეატრის რომელიმე წარმომადგენლისგან. რობერტ სტურუა აქციაზე არ გამოჩენილა და ქართველი საზოგადოებრიობისადმი იმ მიმართვის წაკითხვა, რომელსაც რუსთაველის თეატრის თანამშრომლები, სულ 71 კაცი აწერს ხელს, მსახიობმა **ზაზა პაპუაშვილმა** ითავა. აი, ეს მიმართვაც:

– რაღა არ განუცდია რუსთაველის თეატრის დასს თავისი არსებობის მანძილზე. ასეთი ერთსულოვანი კი იშვიათად ყოფილა. დღეს ყველა გაოგნებულია. საქმე უფრო ცუდად არის, ვიდრე ჩვენ გვეგონა, მაგრამ რაც არ უნდა რთულ პერიოდში ვცხოვრობდეთ, არ უნდა დავკარგოთ ადამიანური სახე. ჩვენი ნებისმიერი საქციელი ადეკვატური, ვაჟკაცური და პრინციპული უნდა იყოს. ნუთუ ძნელი მისახვედრია, რა ხდება დღევანდელ საქართველოში, ჩვენ სამშობლოში? 2011 წლის 9 აგვისტო, რობერტ სტურუა აღარ არის რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი – მოხსნეს. რას ნიშნავს ეს?

სტურუას სპექტაკლები – გაჯერებული სინათლით, სიკეთით, კაცთმოყვარეობით, სულიერებით, ნიჭიერებით, ხვალის იმედით, მაღალი გემოვნებით, ქვეყნის სიყვარულით აღარ გვჭირდება? მოძველდა? უარს ვამბობთ ამ ფასეულობებზე?

არა, ბატონებო! ეს არ გამოვა! ჩვენთვის რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია!

**გ. სალარაძე, კ. კავსაძე, ჯ. ღაღანიძე, თ. დოლიძე, ჟ. ლოლაშვილი, ზ. კვერენჩხილაძე, ზ. ლებანიძე, დ. უსუფაშვილი, ლ. ხურცია, თ. ჭიჭინაძე, ზ. პაპუაშვილი, ლ. ფოფხაძე, ნ. კანტიძე, გ. ბაქრაძე, ბ. ჩაჩიბაია, გ. გიორგაძე, მ. ჯანაშია, კ. ფურცელაძე, მ. შველიძე, ს. აბრამიშვილი, დ. პაპუაშვილი, ლ. ბერიკაშვილი, ზ. პაპუაშვილი, ე. მოლოდინაშვილი, პ. გულიაშვილი, ი. სუხიტაშვილი, ზ. შარია, მ. გამცემლიძე, ლ. ოგანეზოვი, მ. აბრამიშვილი, ი. სანაია, ტ. სარალიძე, ნ. მაყაშვილი, რ. მაყაშვილი, ნ. კასრაძე, ნ. არსენიშვილი, დ. დარჩია, ნ. ხუსკივაძე, გ. გველესიანი, ე. მინაშვილი, დ. კვირცხალია, ლ. ალიბეგაშვილი, მ. ჯინორია, ლ. ახალაია, ნ. მაქაცარია, რ. ჩხაიძე, გ-ა. მესხიშვილი, მ. კახიანი.**

2011 წელი. 19 აგვისტო,

რა თქმა უნდა, ამ ტექსტის გაცნობის შემდეგ, ჟურნალისტებმა ჩავიწერეთ ინტერვიუები, რომელთა მთავარი დედააზრი ერთადერთია – „ამათ იკითხონ, ამ უბედურებმა, თორემ რობიკო სტურუას „საკითხი", მისი გაჩენისთანავე, ზეცაში გადაწყდა – იგი უკვდავია!"

... ხოლო როგორ ჩაივლის ეს საქმე, ამაზე მერე ვიკამათოთ!..

იხ. 4-5 გვ.

საკუთარი ინფორმაცია

მშიერი ფანტაზია

## ალმოაჩინე შენი ქვეყანა თავიდან!



③

გამოთაყვანების პოლიტიკა

## დამქანცარი ვარდები და რეპრესიული დემოკრატია

④

## გუშინ საქართველოს რუკაზე ახალი საკურორტო ქალაქი გაჩნდა – ანაკლია



## კადაფის რეჟიმი დაემხო, ლიბიელი ხალხი თავისუფალია!



# რუსულ ბაზარზე „ბორჯომი“ დაბრუნდება?



## კომპანია „ბორჯომში“ ინფორმაციას არ ფლობენ

**რუსეთის სანიტარიული სამსახური ქვეყნის ბაზარზე ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ შესაძლო დაშვების საკითხს განიხილავს. მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, „სამსახურში „ბორჯომის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით მიმართვაა შესული, რომელსაც ამ დროისთვის სწავლობენ“.**

„ჩვენ ყოველთვის ვახდენდით იმის დემონსტრირებას, რომ თუ მომართვა იქნებოდა, საკითხს ტექნოლოგიურ რეჟიმში განვიხილავდით“, — განაცხადა ონიშჩენკომ. მისივე თქმით, რუსი ექსპერტები იმ კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავენ, რომლესაც „ბორჯომის“ რუსეთში შეტანა სურს.

კითხვაზე, რამდენად რეალურია „ბორჯომის“ რუსეთში კვლავ გამოჩენა, ონიშჩენკომ უპასუხა: „სხვაგვარად, რისთვის ვხვდებოდით ერთმანეთს — უბრალოდ სასაუბროდ? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მზად არიან ისინი სერიოზული და ხანგრძლივი ურთიერთობებისთვის“.

კომპანია „ბორჯომში“ კი, ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილე საშუამავლო კომპანიებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ.

„ჩვენთვის უცნობია ვინ მართავს, ან რა მოლაპარაკებებს მართავენ. ერთადერთი რისი თქმაც დაზუსტებით შემიძლია, ისაა, რომ კომპანიის თანხმობის გარეშე „ბორჯომი“ რუსულ ბაზარზე ვერ შევა“, — განუცხადა „პირველს“ კომპანიის პიარ-მენეჯერმა ნიცა ჩოლოყაშვილმა. ამასთან, კომპანიის წარმომადგენელმა „ბორჯომი საქართველოს“ მიერ რუსული მხარისთვის რუსულ ბაზარზე მინერალური წყლის დაბრუნების თხოვნით მიმართვაც უარყო.

თავის მხრივ, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა, რომელიც „ბორჯომის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნების შესახებ რუსეთის სანიტარიულ სამსახურთან მოლაპარაკებებში მონაწილეობდა, ამტკიცებს, რომ რუსულ ბაზარზე „ბორჯომის“ დაბრუნებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებებს საშუამავლო კომპანიები აწარმოებენ, თუმცა მათი დასახელებისგან თავს იკავებს: „მათი სახელების გაჟღერებისთანავე, ხელისუფლების მხრიდან ამ ობიექტებზე დარტყმა განხორციელდება“.

ამ ფონზე, რუსი ანალიტიკოსების შეფასებით, ვმო-ში (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაძ გაწევრების თანხმობის სანაცვლოდ, რუსულ ბაზარზე „ბორჯომის“ დაბრუნება შესაძლოა, საქართველოსთვის ძალიან მცირე „კომპენსაცია“ იყოს.

ანალიტიკოსების აზრით, რუსეთის სანიტარიული სამსახური ქართული მინერალური წყლის „ბორჯომის“ რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებისთვის საქართველოს თანხმობაში გაცვლას ცდილობს.

საინვესტიციო კომპანიის ექსპერტის მაქსიმ კლიაგინის განცხადებით, რუსული ემბარგოს შემდეგ საქართველომ ახალი ბაზრების ათვისება ეფექტურად შეძლო: „გამაგრილებელი სასმელების ბაზარი რუსეთში 2 მლრდ დოლარადაა შეფასებული, ამასთან, ყოველწლიურად ის 15%-ზე ნაკლებად არ იზრდება. ამიტომ საქართველო ამ მაღალკონკურენტულ სექტორზე დაბრუნებას დიდი ინვესტიციების, მარკეტინგული და სარეკლამო ღონისძიებების გატარებით შეძლებს.

ექსპერტი ანდრეი იაკოლევი კი, რუსულ ბაზარზე „ბორჯომის“ დაბრუნებას საღ აზრად აფასებს და დასძენს, რომ ორივე ქვეყანა ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებითაა დაინტერესებული, ემბარგო კი წმინდა პოლიტიკური ღონისძიება იყო.

კიდევ ერთი ექსპერტი, პოლიტიკური კონიუნქტურის ცენტრის ანალიტიკოსი დიმიტრი აბზალოვი რუსულ ბაზარზე ქართული მინერალური წყლის დაბრუნებას ეჭვის თვალით უყურებს და ამის მიზეზად საქართველოს მიერ ახალი ბაზრების ათვისებას ასახელებს: „იმის გათვალისწინებით, რომ ემბარგოს შემდეგ ქართველებმა ახალი ბაზრები აითვისეს, „ბორჯომის“ დაბრუნების საკითხის გადაწყვეტილება რთული იქნება. მოსკოვს შესაძლოა, ეს მოუნდეს, მაგრამ თბილისს — არა“.

ამასთან, ექსპერტის შეფასებით, „მსო-ში გაწევრებისთვის საქართველოს თანხმობა დამოკიდებულია არა იმდენად მინერალურ წყალზე ემბარგოს მოხსნაზე, რამდენადაც მოსკოვის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხში გარკვეულ დათმობაზე წასვლაზე, მაგრამ კრემლი ამისათვის აშკარად არ არის მზად“.

შეგახსენებთ, რომ ქართული მინერალური წყალი „ბორჯომი“ ხარისხის პრეტენზიით რუსეთის ბაზარზე 2006 წელს აიკრძალა. ამ დროისთვის, რუსეთის მთავარი სანიტარიული სამსახური „ბორჯომის“ რუსულ ბაზარზე დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს.

**მერაბ ბრეგაძე**

SIC!

# „ოაზისის“ ძვირი ფასები უგულავას არ ადარდებს!

## თბილისის მერი „სამთავრობო“ ტელეკომპანიების ჟურნალისტებს დაბა ჩაქვში 10-დღიან სემინარზე მასპინძლობს

**თბილისის მერია „სამთავრობო“ ტელეკომპანიების ჟურნალისტებს დაბა ჩაქვში, სასტუმრო „ოაზისში“ 10-დღიან სემინარზე მასპინძლობს.**

**„პირველის“ ინფორმაციით, სემინარში ტელეკომპანიების — „რუსთავი 2-ის“, „იმედის“, „რეალ-TV“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები მონაწილეობენ.**

როგორც „პირველს“ გიგი უგულავას უწყებაში განუცხადეს, სემინარი მხოლოდ ტელე-ჟურნალისტებისთვის ტარდება და იგი ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების განვითარების საკითხებს შეეხება.

„სემინარი რამდენიმედღიანია, მასში მონაწილეობა ყველა ტელეკომპანიას შევთავაზეთ, მათ შორის „მაესტროს“ და „კავკასიასაც“, თუმცა ყველაფერი ნებაყოფლობითია“, — განუცხადა „პირველს“ მერიის წარმომადგენელმა თათა ქურხაშვილმა.

„პირველმა“ ინფორმაცია სემინარში მონაწილეობის შეთავაზების შესახებ „მაესტროსა“ და „კავკასიაში“ გადაამოწმა, თუმცა მათი წარმომადგენლების მტკიცებით, მსგავსი შეთავაზება მერიის მხრიდან არ მიუღიათ.

„ამ დღეების განმავლობაში მე მსგავსი ინფორმაცია არ მქონია, ჩემთვის არავის დაურეკავს“, — განუცხადა „პირველს“ ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა თამარ რუხაძემ.

„როგორც წესი, მსგავს სემინარებთან დაკავშირებით ჩემთან რეკავენ ხოლმე, თუმცა ჩემთვის მერიიდან არ დაურეკავთ და მსგავსი შემოთავაზება არ გაუკეთებიათ“, — განაცხადა ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალურმა დირექტორმა ნინო ჯანგირაშვილმა.

ცნობისთვის, სასტუმრო „ოაზისში“ სტანდარტული ნომრის ღირებულება 127 დოლარს შეადგენს.

დაფინანსდება თუ არა ჟურნალისტების დასვენება დედაქალაქის ბიუჯეტიდან, სააგენტოსთვის უცნობია, ვინაიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერიამ „პირველისგან“ წერილობითი მიმართვა მოითხოვა.

შეგახსენებთ, რომ გიგი უგულავამ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დასვენებაზეც იზრუნა და ივნისში დაახლოებით 3000-მდე აქტივისტს ასევე სემინარებზე ჩაქვში უმასპინძლა.

**„პირველი“**

# „თავისუფალი დემოკრატები“ მერიისგან პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზების სქემის საჯაროობას მოითხოვს

**„თავისუფალი დემოკრატები“ თბილისის მერიისგან პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზებისა და შემდგომ მისი განვითარების პროგრამის საჯაროობას მოითხოვს.**

ამის შესახებ ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სადაც აღნიშნულია, რომ მერია ჩვეული მეთოდებით აგრძელებს ე.წ „კულუარულ რეფორმებს“, ანუ ახორციელებს პირველადი ჯანდაცვის უმთავრესი რგოლის — პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზებას საზოგადოებისათვის აბსოლუტურად უცნობი სქემებით.

— კატეგორიულად მოვითხოვთ მერიამ უახლოეს დღეებში წარმოადგინოს პოლიკლინიკური ქსელის პრივატიზების და შემდგომ მისი განვითარების პროგრამა. მოვითხოვთ პროგრამა იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით, რათა თავიდან ავიცილოთ, მერიის წარმომადგენელთა ტრადიციად ქცეული სიტყვიერი ბუნდოვანი კომენტარები, — ნათქვამია „თავისუფლალი დემოკრატების“ განაცხადებაში.

ამასთან, ალასანიას პარტიაში მიაჩნიათ, რომ ჯანმრთელობის დაცვის უსისტემობის შემდგომ „განმტკიცებას“ ემსახურება ოჯახის ექიმის, ბავშვთა, პენსიონერთა და ა.შ ადამიანებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრადიციული, პოლიკლინიკური ქსელის დანგრევას.

— საზოგადოებისთვის უცნობია პრივატიზებული პოლიკლინიკური ქსელი რა პირობებით, რა ფასებში მოემსახურება დედაქალაქის ათეულობით ათას ადამიანს პირველადი ჯანდაცვის პროგრამებით; როგორი ურთიერთობა ჩამოყალიბდება სადაზღვევო კომპანიებსა და პრივატიზებულ პოლიკლინიკურ ქსელს შორის; რა გარანტიები არსებობს პრივატიზებულ პოლიკლინიკებში სამედიცინო პერსონალის დასაქმებისათვის; რატომ არის უცნობი საზოგადოებისათვის თუ ვინ ყიდულობს პოლიკლინიკებს, გააჩნიათ თუ არა მათ ამ სფეროს მენეჯმენტის გამოცდილება, — აღნიშნულია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**



## ინფორმაცია

### ეროვნული ვალუტის გაუფასურების მოლოდინი ნუ გაშინებთ!

**ანალიტიკოსთა მტკიცებით, რიგ ქვეყნებში და მათ შორის უკრაინაშიც შემოდგომით ნაციონალური ვალუტის გაუფასურება გარდაუვალი პროცესია. როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე აცხადებს, ლარის კურსის ცვლილება საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე პროცესებზეა დამოკიდებული, თუმც ექსპერტის აზრით წლის ბოლომდე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,7-1,75 ლარის დიაპაზონში დაფიქსირდება.**

**ირაკლი ლექვინაძის თქმით, ლარის გამყარების ტენდენცია ძირითადად საგარეო ფაქტორებით არის გამოწვეული.**

**— აშშ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ გლობალურ ბაზრებზე აშშ პოზიციების შესუსტება განაპირობა, ევროპაში მიმდინარე სავალო კრიზისების გამო კი ევროს პოზიციები შესუსტდა, რაც აისახა ორივე ვალუტასთან მიმართებაში ლარის მინიმალური გამყარებით. 1 ივლისიდან 22 აგვისტოს პერიოდში ლარი ევროსთან მიმართებაში 2,3%-ით, აშშ დოლართან მიმართებაში 1,2%-ით გამყარდა.**

### ლევან ვარშალომიძემ ბათუმის ხელოვნების ცენტრის მშენებლები დააჯილდოვა

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გია აბულაძე ბათუმის ხელოვნების ცენტრის პროექტის ავტორს ვლადიმერ ხმალაძესა და სამშენებლო კომპანია „ანაგის“ წარმომადგენლებს შეხვდნენ.**

**ლევან ვარშალომიძემ ისინი სამახსოვრო სიგელებით დააჯილდოვა და მადლობა გადაუხადა ბათუმის ხელოვნების ცენტრში დროულად და მაღალი სამშენებლო სტანდარტებით შესრულებული სამუშაოებისთვის.**

### გამარჯვებული პედაგოგები წაახალისეს...

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდებზე საუკეთესო შედეგების მქონე პედაგოგები დააჯილდოვა. დიმიტრი შაშკინმა 10 მათგანს პორტატული კომპიუტერები გადასცა.**

**მინისტრის შეფასებით, 2011 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდები წარმატებით დასრულდა.**

**სერტიფიცირებული მასწავლებლები ხელფასზე დანამატს - 75 ლარს იღებენ. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი კომპიუტერისა და ინგლისური ენის გამოცდასაც ჩააბარებს, მისი დანამატი 200 ლარამდე იზრდება. ხოლო ორივე გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, თუ სერტიფიცირებული მასწავლებელი საუკეთესო მაჩვენებლების მქონე 25%-ში მოხვდება, მისი ფიქსირებული ხელფასი 1000 ლარი ხდება.**

**სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ასევე აქვთ შესაძლებლობა იმუშაონ მენტორ მასწავლებლად, ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემაში და სამინისტროს მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროგრამებში, რაც ასევე დამატებით ანაზღაურებას გულისხმობს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

მშიერი ფანტაზია

# აღმოაჩინე შენი ქვეყანა თავიდან!

**საკაცობრიო ცივილიზაციამ მართალია სვენებ-სვენებით, მძიმედ და ხვნეშით, მაგრამ უკვე განვლო დიად აღმოჩენათა ათასწლეულები. ეტყობა, საქართველოს ახლა, მაინც და მაინც ვარდოსან ხელისუფალთა მმართველობის პერიოდში, დაუდგა ეს სანუკვარი ხანა. ეს უპირველესად იგრძნობა რევოლუციური ხელისუფლების ყოველდღიურ აღტკინებაში, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური ყოფის შეუქცევად გარდაქმნებში, დემოკრატიისა და თავისუფლების არნახულ აღზევებაში, უბრალოდ, ქუჩებშიც კი, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით დევიზსა თუ სლოგანს — „აღმოაჩინე შენი ქვეყანა თავიდან!“**



აი, ხომ ხედავთ, საითკენ გვიბიძგებენ! გუშინდელი საქართველო კი არა, შევარდნაძისა და კომუნისტების დროინდელი, გნებავთ, თამარისა და დავითის დროინდელი ქვეყანა კი არა, სრულიად ახალი საქართველო აღმოაჩინეთო თავიდან(!) მთელი ცივილიზებული სამყარო ძველს ეძებს, ჩხრეკს, რა და ვინ იყო, ისტორიისა და ფესვების ძიების ბუმია და მხოლოდ საქართველოა შავი ხვრელი, სადაც უნდა მოვისროლოთ ისტორია, სარწმუნოება, ენა, ტრადიცია, ყველაფერი, რაც ძველია და ცხოვრება დავიწყოთ თავიდან, კერძოდ, 2003 წლიდან!..

აღმოჩენების დარგში დაუკრეფავში რომ არ შევტოპო, აქვე მინდა განვაცხადო: მე და ჩემნაირები რომ ვერაფერი შვილი აღმომჩენები ვართ, ეს ვარდოსან ხელისუფლებას ჩვენზე უკეთ მოეხსენება და ამ მხრივ საქმე რომ არ ჩაუვარდეს, „აღთქმული ქვეყნისკენ“ მიმავალ ფარას თავადვე მიერეკება. შიშაქისა და პირველაღმომჩენის როლს, რა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი სოლისტი — მიხეილ სააკაშვილი ასრულებს.

მოკლე საგაზეთო წერილში, რა თქმა უნდა, ყველა იმ ისტორიულ აღმოჩენას, რაც სააკაშვილმა თავისი მმართველობის მოკლე პერიოდში გააკეთა, ბუნებრივია, ვერ ჩამოვთვლი (ამას ტომებიც ვერ დაიტევს), მაგრამ, ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, იმათგან ზოგს მაინც თუ გავიხსენებ. **თუნდაც ამ ორი წლისწინანდელ პერიოდს, როცა ქვეყანას უმუშევრობამ სახადივით გადაუარა. მაშინ ყველა ხვდებოდა, რომ მიშა ამ პრობლემის დასაძლევად მორიგ აღმოჩენას მიადგებოდა, დამშეული ხალხის დასასაქმებლად რაღაც პროგრამას მოათუხთუხებდა, მაგრამ ეს პროგრამა 50-დღიანი თუ იქნებოდა, ამას კი ვერავინ იწინასწარმეტყველებდა. რას ერჩი, ეს პროგრამა 50-დღიანი იქნებოდა თუ ორკვირიანი, უმუშევრობა ქვეყანაში ერთბაშად 70 პროცენტიდან 15 პროცენტამდე კი ჩამოვარდა (მთავრობის გათვლით) და ამის მერე მიდი და ფანტაზიორი და არაადეკვატური ეძახე. ერთადაერთი, რაშიც „გაუტყდა“, ასობით საავადმყოფოების, საწარმოებისა და სკოლების მშენებლობის პროგრამის ჩავარდნას თუ გამოედავები, თორემ სხვა ვერაფერში მოსდებ შარს(!).**

ვფიქრობ, მე-18 საუკუნის არც ერთ დიდ აღმოჩენას არ ჩამოუვარდება ის აღმოჩენა, რომელიც წლეულს გაზაფხულზე სააკაშვილმა კახეთის თავზე მფრინავ ლაინერში გააკეთა. ქვეყნის სვებედზე მაფიქრალმა თავკაცმა მხარის დაუმუშავებელ ველ-მინდვრებს რომ გადახედა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოში სასწრაფოდ უნდა გამოცხადდეს პრიორიტეტულ დარგად (ტურიზმი წუთიერად გადაავიწყდა), ხოლო მთავრობა შესაბამისად გარდაიქმნას აგრარულ მთავრობად. წავიდა ის დრო, განაცხადა მაშინ პრეზიდენტმა, როცა ჩვენი ბარაქიანი მიწის მადლს არც მთავრობაში და არც სოფლად სათანადოდ არ ვაფასებდითო. ამ მხრივ გამორჩეულია კახეთის მიწა, რომლიდანაც, თუ მოვუვლით, ყურძენთან ერთად, ხორბლის, ზეთისხილისა და სიმინდის ისეთ მოსავალს მოვიწევთ, საექსპორტოდ საზღვარგარეთაც ბლომად გავიტანთო.

რა მოჰყვა შედეგად სააკაშვილის აღმოჩენილი აგრარული მთავრობის აგრარულ პოლიტიკას, ამის ნათელ სურათს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის ირაკლი ალასანიას მიერ ამ დღეებში გაკეთებული განცხადება იძლევა. **„გლეხი და სოფელი ამ ხელისუფლებამ, ამბობს ის, ბედის ანაბარა მიატოვა. მთავრობის არასწორი პოლიტიკის შედეგია ის, რომ დღეს საქართველოში მიწების 70 პროცენტი დაუმუშავებელია. გლეხს არავინ ეხმარება. ერთი ჰექტარი მიწის დამუშავება 1500 ლარამდე ჯდება. საშინლად გაიზარდა ფასები სასუქზე. სიმინდის პროგრამა, რითაც ასე იწონებდა თავს ხელისუფლება, ჩავარდა. გლეხებმა, რომელთაც ჰიბრიდული სიმინდი დათესეს, მოსავალი ფაქტობრივად ვერ მიიღეს. პასუხისმგებლობა იმაზე, რომ გლეხები სიმინდის მოსავლის გარაშე დარჩნენ, მთავრობისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს კვეზერელს ეკისრება“.**

ცალკე საუბრის თემაა კვეზერელის საარაკო აღმოჩენები, რომელთაგან ერთ-ერთის გახსენებაც საკმარის წარმოდგენას შეგვიქმნის მისი ავტორის კომპეტენტურობაზე. მართალია კვეზერელი მოიკოჭლებს სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების — მეცხოველეობის (დედალ-მამალი ძროხების), მემცენარეობის, მევენახეობის, მეციტრუსეობის ფუნდამენტური საკითხების ცოდნაში, მაგრამ სამაგიეროდ თურმე გადასარევად ერკვევა ბაყაყების, სირაქლემების, ნიანგებისა და ლოკოკინების ბიზნესის განვითარების პერსპექტივაში. ეს იდეა რომ საქართველოში პოპულარულია, იქიდანაც ჩანს, რომ ორიოდე წლის წინათ სუპერმარკეტებში თელეთში მოშენებული სირაქლემების ხორცი და კვერცხიც იყიდებოდა. ცაიშში არგენტინიდან ჩამოტანილი ოთხი კვერცხიდან ნიანგებიც გამოიჩეკა, რომელთა მომრავლების შემდეგ ნიანგის ხორცის ევროპაში 40 ევროდ გატანა, ტყავის გაყიდვა კი 500 ევროდ იგეგმებოდა. თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეგზოტიკური ცხოველების მოშენებისა და უცხოეთში საექსპორტოდ გატანის პროგრამა სამარცხვინოდ ჩავარდა.

აბა რა მოუვიდოდა, სამინისტრო, რომელსაც საკუთარი ბაზარი უცხოური პროდუქციით აქვს გადატენილი, ქვეყნისათვის არატრადიციული დარგის გაძღოლას როგორ უზრუნველყოფდა? ესეც არ იყოს, **საქართველოში, რა თქმა უნდა, პოტენციურად ყველა ცხოველის მოშენების შესაძლებლობა არსებობს, მათ შორის ბეჰემოთისაც, მაგრამ ამ ყველაფერს დასაბუთებული პროექტი და ლიცენზია არ სჭირდება? ქართველ „ნოვატორებს“ კი არც ერთი აღმოაჩნდათ და არც მეორე. ამათ ისიც ვერ გაითვალისწინეს, რომ ფერმას თუ გააკეთებ, 100 კვერცხიდან რა რაოდენობის ნიანგსაც მიიღებ, ნახევარი ველურ ბუნებაში უნდა დააბრუნო, რათა ბუნებრივი ბალანსი არ დაირღვეს. აბა ჰკითხეთ კვეზერელს თუ აგვიხსნის, რომელი ტრანსპორტით აპირებდა ცოცხალი ნიანგების არგენტინაში დაბრუნებას?!.**

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური კვეზერელისდარ აღმოჩენებს ვერ დაიკვეხნის, მაგრამ პრემიერის კვალობაზე მასაც აქვს რაღაც მასშტაბის აღმოჩენები. აი თუნდაც ის, რომ **„ტურიზმიდან მიღებული დოლარების შემოსავალი ქვეყანაში კვირიდან კვირამდე მატულობს. ამას ემატება გზავნილები იტალიიდან, ესპანეთიდან, საბერძნეთიდან. რადგან იქ ეკონომიკური რყევებია, ჩვენი მოქალაქეები დანაზოგს აქეთ აგზავნიან. ალბათ, საბოლოოდ ამ დანაზოგებს უძრავი ქონებისთვის გამოიყენებენ, რაც ამოქაჩავს კიდეც ამ ბაზარს. იზრდება იმპორტიც და ექსპორტიც“.**

ნიკა გილაურმა ეს განცხადება 19 ივლისს სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ „გააჟღერა“. მას ნათქვამის არსი მეტად აღარ დაუკონკრეტებია, მაგრამ ისედაც ყველაფერი ნათელია: სულაც არ არის საჭირო საკუთარ ქვეყანაში განავითარო მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ხალხი დაასაქმო. საკმარისია შეინარჩუნო სტაბილურობა, წავა შენი ხალხი სამუშაოდ იმ ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური რყევებია, გამოგზავნის მილიონებს, თავადაც გამდიდრდება, ბიუჯეტის შემოსავლებსაც გაზრდის და ექსპორტ-იმპორტსაც(!).

უნდა ვაღიაროთ, ისეთ დამშეულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი დონის აღმოჩენის გაქაჩვა არა მარტო ჩვენს ჭაბუკა და გოგოშკა მინისტრებს, თავად მიხეილ სააკაშვილსაც შეშურდებოდა!

როგორც ჩანს, იმის აღიარებაც მომიწევს, რომ ისტორიულ წარსულთან მიმართებაში გაკეთებულ ქართველი ნაციონალების აღმოჩენებს მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. რას ვგულისხმობ? თუნდაც ქვეყნის სასიქადულო შვილთა ძეგლების უცაბედ გადაადგილებას. კი მაგრამო, იკითხავთ განცვიფრებული, **რა აღმოაჩინეს ნაცებმა ამ ძეგლებში ისეთი უცხო და შეუთავსებელი, რაც დღემდე ვერავინ იყნოსაო? რა და, „განსხვავებული აზრი“, ბატონებო, რასაც ნაცები ვერ ეგუებიან და ვერც ვერასოდეს შეეგუებიან. დიახ, მათ კარგად გაწვრთნილი მწევარივით იყნოსეს, რომ ჩვენი ისტორიული წინაპრები თურმე არ ეთანხმებიან დღევანდელი მთავრობის „აღმშენებლობით პოლიტიკას“ და იმათგან ზოგი (იოსებ სტალინი)საერთოდ ჩამოიცილეს, ზოგი კი (დავით აღმაშენებელი) ქალაქის ცენტრიდან გარეუბანში გადააჩოჩეს. განსასჯელის რიგში მოთმინებით დგანან ვახტანგ გორგასლის, დავით გურამიშვილის, ერეკლე მეორის (თელავში), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვათა ძეგლები, რომელთაც „საკუთარი აზრი“ ჯერჯერობით არ „გაუჟღერებიათ“.**

რაც შეგვეხება ჩვენ (მე და ჩემნაირებს), ხელისუფალთა საარაკო აღმოჩენებზე საუბარი, როგორც წერილის დასაწყისში შევნიშნე, რა თქმა უნდა, აღმოჩენად არ ჩაგვეთვლება. აი იმათ კი, ვისაც საკუთარი სისულელეები აღმოჩენად მიაჩნიათ, ვფიქრობ, აწმყო თუ არა, მომავალი მაინც არ დაუკარგავს.

**ოთარ ხუციშვილი**



◉ პოზიცია



**რაც უფრო მეტი დრო გადის „ვარდების რევოლუციიდან“, ვარდები მით უფრო ჭკნება. საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის ყოველი ახალი წელი, გასულ წელთან შედარებით, სოციალური თვალსაზრისით, მძიმდება. უმუშევრობის პრობლემა ქვეყანაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას, თუმცა ფასები ყველა სეგმენტში და ყველა მიმართულებით იზრდება. მოქალაქეები ვარდის სურნელს ველარ გრძნობენ... ვარდები დაჭკნა... ისინი უკვე ეკლებზე სხედან...**

**რაშია მიზეზი, რის გამოც ხელისუფლება ქვეყანაში „ევროპულ ფასებს“ აწესებს, მაშინ, როცა აქ ევროპული ცხოვრების დონე არაა, სანამდე მიგვიყვანს ეს ტენდენცია, რატომ დუმს თავად ხალხი და სადაა ოპოზიცია, რომელიც, ამ ბოლო დროს, საერთაშორისო ორგანიზაციების მსგავსად მხოლოდ ტრაფარეტური განცხადებების კეთებით შემოიფარგლება? — „ჯი-ეიჩ-ენი“ ამ და სხვა საკითხებზე ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანს ნესტან კირთაძეს ესაუბრა...**

# დამჭკნარი ვარდები და რეპრესიული დემოკრატია

**— ქალბატონო ნესტან, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულია და, ერთი შეხედვით, ქვეყანაში ზედმეტად მშვიდი პოლიტიკური სიტუაციაც კი არის, სეზონის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ მოხდა — სხვადასხვა კონფესიებს რელიგიური სტატუსი მიენიჭა, რამდენიმე სოციალური თემატიკის გადაწყვეტილება იქნა მიღებული — გაძვირდა მგზავრობა, დაინერგა კომუნალური გადასახადების გადახდის ახალი სისტემა... და ამ ყველაფერმა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. შედეგები გასაგებია. საინტერესოა მიზეზები, რის გამოც აქამდე მივედით.**

— ეს განაპირობა მიზეზთა მთელმა წყებამ, რომელიც მთლიანად არის დაკავშირებული ხელისუფლების საქმიანობის შინაარსთან. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იკვეთება სრულიად არაეროვნული პოზიციები, ხალხის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური გადაწყვეტილებები და საერთო ჯამში, იკვეთება ყველაზე მძიმე ტენდენცია — ეს არის რეპრესიული დემოკრატია (თუკი ასეთი ცნების მოშველიება შეიძლება ზოგადად პოლიტიკურ თეორიაში, საქართველოში ეს პრაქტიკული რეალობა გახდა). სწორედ რეპრესიულმა დემოკრატიამ, ფასადურმა თვალსაჩინოებამ, მხოლოდ ვირტუალ და პიარტექნოლოგიებზე აგებულმა პოლიტიკამ მოგვცა შედეგად ის, რომ პრაქტიკულად, საქართველოს მოსახლეობა (მთლიანად და არა უდიდესი უმრავლესობა) ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, ცალკე, უაღრესად მძიმე და გაუსაძლისად და საქართველოს ხელისუფლება მასთან დაახლოებული ბიზნეს და პოლიტელიტის ჯგუფები, რომლებიც რამდენიმე ათეულ ან შეიძლება რამდენიმე ასეულ ოჯახს შეადგენენ, ცხოვრობენ ცალკე.

**— სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირების საპროტესტო აქციაზე მხოლოდ 30 კაცი მივიდა. ლოგიკურად ჩნდება შეფასება, რომ ან გაზრდილი ტარიფი არ არის პრობლემა ხალხისთვის, ანაც მას პროტესტის გამოთქმის ეშინია...**

— საზოგადოების პასიურობა, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ მას აქვს თავისი მიზეზები და მას გაუცხოვება, ხელჩაქნეულობა, დეპრესია, 26 მაისის ცნობილი მოვლენები, რა თქმა უნდა, შიში, საყოველთაო დაპატიმრებები და ხელისუფლების ძალადობის რეაქცია ჰქვია.

**— ლონდონშიც დააპატიმრეს დემონსტრანტები, იყო მსხვერპლიც მაგრამ ხალხი მაინც გამოთქვამდა პროტესტს...**

— მოდით, ღიად ვთქვათ — ჩვენ ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყანა ვართ. არ გვაქვს დიდი გამოცდილება, მათ შორის არც საპროტესტო გამოცდილება. დემოკრატიის დამკვიდრებას დრო სჭირდება. ჩვენთან არის ასეთი საყოველთაო კლიშე, რაც ვარდების ე.წ.რევოლუციამ მოიტანა — არ მოგეწონება ხელისუფლება?, — შეგიძლია ის დაამხო. ამ მოსაზრებას თეორიულადაც, მორალურადაც და საერთაშორისო დოკუმენტებითაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტიპის უფლება ხალხს უკვე აღარ აქვს. დღეს სხვა შედეგი დადგა, საქართველოს მოსახლეობა სრულიად უუფლებო გახდა... რევოლუციებით ხელისუფლების შეცვლის შანსი დაკარგულია...

**— ლეიბორისტული პარტია ხელისუფლების მხოლოდ არჩევნების გზით შეცვლაზე ალაპარაკდა?**

— არა. პოლიტიკაში და ომში ყველა გზა მისაღებია. ამბობენ ომში და სიყვარულშიო, მაგრამ პოლიტიკაშიც არის ყველა გზა მისაღები, თუკი ის დაკავშირებულია უფლებისთვის ბრძოლასთან, სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლასთან, ქვეყნის ერთიანობისთვის, წონასწორობის აღდგენისთვის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაბრუნებისთვის ბრძოლასთან. ასეთ შემთხვევაში, კომპლექსურად, ყველა გზა არის მისაღები, მათ შორის მიტინგები, მანიფესტაციები, უკიდურესი პროტესტი, შიმშილობები... მაგრამ ხელისუფლების შეცვლის გზა, რომელსაც პირადად მე არასდროს და არც ერთ ვითარებაში არ გადავსინჯავ, არის მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების გზა.

**— და ამას ამბობს იმ პარტიის საერთაშორისო მდივანი, რომელმა პოლიტიკურმა ძალამაც ბოლო პერიოდში ჩატარებულ ყველა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა?**

— ბოიკოტიც პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ტაქტიკა გახლავთ. მე ვსაუბრობ არჩევნებზე, როგორც ხელისუფლების რეალურად შეცვლის გზაზე და არა მორიგ პოლიტიკურ სპექტაკლზე, რომლის შემდეგაც არაფერი იცვლება და ქვეყანა ისევ ისე, ძველი ინერციით აგრძელებს სვლას. თუ არჩევნებში არ გამოვიდა ქუდზე კაცი, ანუ არჩევნები არ გახდა მორალურად სავალდებულო ყველა მოქალაქისთვის, ამ ქვეყანას მომავალი არ ექნება.

**— ამ თემის კონტექსტში რობერტ სტურუას მაგალითს გავიხსენებ. საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, რეჟისორი თანამდებობიდან მოხსნეს სწორედ იმიტომ, რომ ის საკუთარ მოქალაქეობრივ აზრს, რომელიც ხელისუფლების პოზიციას არ ემთხვეოდა, ღიად აფიქსირებდა. როგორ ფიქრობთ, უბრალო, რიგითი მოქალაქეები დაძლევენ შიშს იმისა, რომ გამოთქმული პროტესტის გამო, შესაძლოა, მინიმუმ, უსამსახუროდ დარჩნენ?**

— რობერტ სტურუამ შიში, როგორც ემოცია, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში „დაძლია“. ამ ტიპის ადამიანის, ამ აზროვნების, ამ შეხედულების ხელოვანის, ამ პრინციპების მატარებელი რეჟისორის პოლიტიკური დაპირისპირება ხელისუფლებასთან გასაკვირი არ იყო. პირიქით, მოსალოდნელიც იყო, ისე როგორც მოსალოდნელი იყო მისი გათავისუფლება. მე თვალს ვადევნებდი სოციალურ ქსელში ატეხილ ხმაურს და ეს კარგია, მაგრამ აშკარად გამოიკვეთა ერთი ფაქტორი — რობერტ სტურუას გათავისუფლება არავის გაკვირვებია და ყველაზე მძიმე და ცუდი რეალობა სწორედ ეს არის. რა თქმა უნდა, საზოგადოებაზე კიდევ უფრო მეტად ამას ელოდა თავად დიდი მაესტრო. საკითხავი იცით რა არის? ბოლომდე გაუკვირვებელნი დავრჩებით, თუ... თუ... თუ... დავიწყებთ ამ მძიმე რეალობის შეცვლას? რა თქმა უნდა, ისევ მოდის შიშის ფაქტორი, მაგრამ ჩვენმა ხალხმა უკანასკნელ წლებში რამდეჯერმე აჩვენა შიშის გადალახვის მცდელობა, მათ შორის 26 მაისსაც, რომელიც, ამავე კუთხით, იმედია, უკანასკნელი არ იყო...

**— შიშის ფაქტორის გარდა, მეორე პრობლემაა ისიც, რომ საზოგადოება, ფაქტობრივად, პოლიტიკური ლიდერის გარეშეცაა დარჩენილი. არსებულ სახელებს და გვარებს, უკვე აშკარად ჩანს, ხალხი აღარ ენდობა. საზოგადოება პოლიტიკოსებისგან მიტოვებულია...**

— დარწმუნებული ვარ და ეს არ არის ჩემი პოლიტიკური პათოსი, რომ საქართველოს მოსახლეობა პოლიტიკური პარტიების გარეშეც დადგება ფეხზე და დაიწყებს მისი უფლებებისთვის ბრძოლას. სხვა გზა არ აქვს, რადგან უკან მხოლოდ უფსკრულია.

**— რელიგიურ თემაზეც მინდა გკითხოთ. ცოტა ხნის წინათ სხვადასხვა კონფესიებს რელიგიური სტატუსი მიენიჭა, რაც სინოდმა თავდაპირველად გააპროტესტა, თუმცა მას შემდეგ, რაც საპატრიარქოში ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი შენიშნეს მისული, შეფასება შეცვალა და მიღებული კანონისადმი კრიტიკამაც იკლო. ჩნდება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას გარკვეული გავლენა, ან გავლენის მცდელობა აქვს ეკლესიაზე...**

— მოდით, მივყვეთ თანმიმდევრულად. იმის მიუხედავად, რომ საზოგადოება უკვე ფართოდაა ინფორმირებული, თუ რა მოხდა ფორსმაჟორში მიღებულ ამ კანონთან დაკავშირებით, კიდევ ერთხელ განვუმარტავ თქვენს მკითხველს — კანონის მიღება მოხდა მეზობელი სახელმწიფოს რელიგიური ცენტრის მამამთავრის და მეზობელი სახელმწიფოს ლობისტური ჯგუფების ზეწოლით.

**— რატომ არ საუბრობს ეკლესია ღიად ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე და რატომ აძლევს მთავრობას უფლებას რელიგიურ საკითხებზე მიიღოს გადაწყვეტილება საპატრიარქოსთან შეთანხმების გარეშე?**

— პატრიარქმა რამდენჯერმე დაგმო მიღებული კანონი და ისეთი ტიპის პრინციპული განცხადება, როგორიც უწმინდესმა გააკეთა, მე მისგან თითქმის არც მომისმენია. ასეთივე განცხადებები გააკეთა რამდენიმე მღვდელმთავრმა. მიღებულ კანონს გამოეხმაურა მრევლიც და გახსოვთ, გრანდიოზული მსვლელობაც მოეწყო ქაშუეთის წმინდა გიორგის ტაძრიდან ყოვლადწმინდა სამების ტაძრამდე. ეს იყო ხელისუფლებისადმი სიგნალი, ეს იყო გზავნილი იმისა, რომ შეიძლება მყისიერად, ხუთ წუთში დადგეს მთელი საქართველო ფეხზე...

ესაუბრა
**ლელა ბაღდავაძე**

◉ საპროტესტო აქცია რუსთაველის თეატრის წინ

# რობერტ სტურუა საქართველოდან

## ზაალ ჩიქობავა – დასში არიან რადიკალურად და ნაკლებად რადიკალურად განწყობილი ადამიანები

როზერტ სტურუასთან შეთანხმებული ვართ, რომ თეატრში რეჟისორად დარჩება და ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ რუსთაველის თეატრის მმართველმა **ზაალ ჩიქობავამ** განუცხადა და დასძინა, რომ რობერტ სტურუას თანამდებობაზე აღდგენა მმართველის პრეროგატივა არ არის.



ამასთან, როგორც ჩიქობავამ თეატრალური დასის წევრების განცხადების კომენტირებისას განაცხადა, დასში არიან რადიკალურად და ნაკლებად რადიკალურად განწყობილი ადამიანები.

**„შევხვდი ბატონ სტურუასაც და დასის წევრებსაც. ზოგს რადიკალური პოზიცია აქვს, ზოგს — ნაკლებად. ბუნებრივია, ამდენი წლის თანამშრომლობის შემდეგ ისინი მსგავს განწყობას გამოხატავდნენ. კულტურის მინისტრმაც თქვა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ ყოფილა“,** — აღნიშნა ჩიქობავამ.

რობერტ სტურუა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 9 აგვისტოს გამოცემულ ბრძანებას ხელს აწერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკა რურუა.

ამასთან, ნიკა რურუამ განაცხადა, რომ რობერტ სტურუა რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მის მიერ გამოთქმული „ეთნიკური მეტაფორების“ გამო გათავისუფლდა.

**„სახელმწიფო, რომელიც მოცემულობით არის მულტიეთნიკური და მულტიკულტურული, ვერ შეეგუება და ვერ დააფინანსებს ქსენოფობიას. ქსენოფობიაში იგულისხმება ის გამონათქვამები, ეთნიკური მეტაფორები, რომელსაც სტურუა იყენებდა მრავალრიცხოვანი ინტერვიუების დროს“,** — განაცხადა ნიკა რურუამ.

## ბესო ზანგური – თეატრი გააგრძელებს პროტესტს, ვიდრე ხელისუფლება რობერტ სტურუაზე არ იტყვის – „ჰო!“

**ეს განცხადება რუსთაველის თეატრის მსახიობმა, ბესო ზანგრუმა გუშინ გააკეთა.**



**„ჩვენ ვაგრძელებთ პროტესტს, ვიდრე ხელისუფლება რობერტ სტურუაზე არ იტყვის „ჰო!“-ს. მე დარწმუნებული ვარ, რომ რობერტ სტურუა დარჩება რუსთაველის თეატრში სამუშაოდ. შესაძლოა, ეს არ იყოს სამხატვრო ხელმძღვანელი, მაგრამ გააგრძელებს სპექტაკლების დადგმას“,** — განაცხადა მსახიობმა.

მისივე თქმით, თუ სტურუა საერთოდ დატოვებს თეატრს, რუსთაველის თეატრიდან თავადაც წავა, ხოლო თუ რობერტ სტურუა გააგრძელებს სპექტაკლების დადგმას, დარჩება თეატრში სამუშაოდ.

**„როგორც ვიცი, რობერტ სტურუას აქვს უამრავი შემოთავაზება არგენტინიდან, საბერძნეთიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. თუმცა, რატომღაც აქცენტი კეთ-**

**◉ თვალსაზრისი**



„ინტერპრესნიუსი" ესაუბრა ფილოსოფოსსა და კულტურის ანთროპოლოგს, ზაზა შათირიშვილს

# სიტუაცია უიმედოა, მაგრამ აბსოლუტურად არასერიოზული

**— ბატონო ზაზა, რობერტ სტურუას გათავისუფლება სახელოვნებო წრეების საკმაოდ დიდმა ნაწილმა დრამატულად აღიქვა. მომხდარით საზოგადოების უდიდესი ნაწილიც გაკვირვებული დარჩა. „ეთნიკური მეტაფორების გამო" სტურუას მოხსნას თითქმის არავინ იჯერებს. ზოგი მომხდარს პოლიტიკურ დევნად, ზოგიც ხელისუფლების ზღვარგადასულ თავნებობად, ზოგიც ხელისუფლების მიერ ავტორიტეტების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის გაგრძელებად და დიდ მაესტროზე პატარა კაცების შურისძიებად აფასებს. ხელოვანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის თემა არახალია, მაგრამ, თქვენი აზრით, დასახელებულ შეფასებათაგან რეალობასთან უფრო ახლოს რომელია?**

— ამ თემაზე საუბარს ქსენოფობიის თემით დავიწყებდი. ხშირად ამბობენ, რომ ხელისუფლება არათანმიმდევრულია. ეს რომ ასეა, სტურუას გათავისუფლებამაც დაადასტურა. პრეზიდენტმა არა მარტო ქსენოფობიური, არამედ რასისტული ფრაზები რამდენჯერმე საჯაროდ თქვა. სააკაშვილს ეკუთვნის სიტყვები — „ჩვენ არა ვართ ზანგები", „საქართველო არ არის ზიმბაბვე", „საქართველო აფრიკის ქვეყანა არაა", მაგრამ პრეზიდენტის ამ გამონათქვამებზე კულტურის მინისტრს რეაქცია არ ჰქონია.

დასამალი არ არის, რომ სტურუას თემა მარადიულ, ხელოვანისა და ხელისუფლების დაპირისპირების თემას უკავშირდება. სტურუა თავისი სპექტაკლებით ყველანაირად ცდილობს ძალაუფლების მექანიზმების გაშიშვლებას. ამის გამო იყო სწორედ, რომ ხელისუფლება არ სწყალობდა. თბილისში ვცხოვრობთ და ვიცით — რაც მოხდა, მოსალოდნელი იყო. არავის და მათ შორის, არც მე მეპარება ეჭვი, რომ სტურუა პოლიტიკური მოტივაციით იქნა გათავისუფლებული. სტურუა ხელოვანებთან ხელისუფლების დაპირისპირების მხოლოდ ერთ-ერთი ჯაჭვია და დარწმუნებული ვარ, ეს მარტო სტურუას მოხსნით არ დამთავრდება.

**— არავინ დავობს, რომ თანამდებობის დატოვება სტურუასთვის დიდი ტრაგედია არ იქნება, მაგრამ თქვენი აზრით, როგორ აისახება ქართულ თეატრალურ კულტურაზე რობერტ სტურუას „ქსენოფობიის" გამო დასჯა?**

— სტურუა რომ არ იყოს, ჩემი აზრით, ქართული თეატრალური კულტურის დონე საკმაოდ დაბალი იქნებოდა. თუ ისევ სტურუას არ ჩავთვლით, სამწუხაროა, რომ ყველაფერი იაფფასიან ხელოვნებამდეა დასული. ფაქტია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში კულტურის დონე ზომაზე მეტად დაეცა. თუ სტურუა საქართველოდან საერთოდ წავა, მაშინ ეს ქართული თეატრისა და საერთოდ ქართული კულტურისათვის საკმაოდ მძიმე დანაკლისი იქნება. დღეს ხომ ქართულ თეატრს სტურუას მსგავსი კი არა, ოდნავ მიმსგავსებული დონის ფიგურაც არა ჰყავს.

**— ბევრი მიიჩნევს, რომ სტურუას „ქსენოფობიური გამოხდომა" არაფერ შუაშია, ხელისუფლება პოსტრევოლუციურ საქართველოში, საბჭოური პერიოდისა და ვარდების რევოლუციამდელი საქართველოს ესთეტიზმის ალტერნატიული ესთეტიკის ძიებაშია. რამდენად მართებულია მტკიცება, რომ ბათუმის სცენაზე მიუზიკლ „ქეთო და კოტეს" დადგმით ხელისუფლებამ ახალ ესთეტიკას ჩაუყარა საფუძველი და მიიჩნია, რომ ქართული თეატრის სცენიდან სტურუას ესთეტიკის გაძევების დროა. თქვენთვის რამდენად მისაღებია სტურუასთან დაკავშირებით განვითარებული ვნებათაღელვის ამგვარი შეფასება?**

— დღეს ჩვენთან ყველაფერი ხელისუფლებისადმი ლოიალობით იზომება. ნებისმიერ კულტურულ ქვეყანაში რეჟისორი შეიძლება იყოს მემარჯვენე ან მემარცხენე, მაგრამ თუ ის დიდი ხელოვანია, ნებისმიერ შემთხვევაში პატივს მიაგებენ.

ჩვენთან კი რა ხდება. თუ ბუბა კიკაბიძე შენი მომხრეა, ის დიდი მომღერალია. თუ მეორე ხელოვანი შენი მოწინააღმდეგეა, ის ცუდი რეჟისორია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თუ საქართველოში კულტურის რაიმე ნარჩენები იყო, კულტურა უკვე საერთოდ აღარ არსებობს. ეს კი უკვე კატასტროფაა. ასეთ ვითარებაში რაიმე ახალ ესთეტიკაზე საუბარი აღარც არის. ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე" ძალიან კარგი ოპერეტაა, მაგრამ მერე რა? სააკაშვილის ბათუმი სალტიკოვ-შჩედრინის „ქალაქი გლუპოვოს" დაემსგავსა. გული იმაზე მწყდება, რომ ბათუმიდან მართლაც შეიძლება გაკეთებულიყო მშვენიერი თანამედროვე საკურორტო ქალაქი. ახლა ბათუმი მეორეხარისხოვანი აზიური ქალაქი გახდა. სააკაშვილს არანაირი ესთეტიკა, გემოვნება და ის, რასაც კულტურა ჰქვია, არა აქვს. ზუსტად ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ სტურუას მოხსნაც. წარმოგიდგენიათ, ეს რომ გააკეთო, რა დონის ადამიანი უნდა იყო.

**— თქვენი აზრით, სტურუას ესთეტიკის მთავარი არსი რაში მდგომარეობს და რა ნიშნებით ხასიათდება ხელისუფლების მიერ ინიცირებული ახალი ესთეტიკა, რომლის ნიმუშად, სავარაუდოდ, მიუზიკლი „ქეთო და კოტე" უნდა მივიჩნიოთ?**

— ჩემი აზრით, სტურუას ესთეტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კარნავალურობა. ხელისუფლება სტურუას სტილის რეჟისორის შემოქმედებისთვის კარგ საფუძველს ქმნის. ის, რასაც ხელისუფლება აკეთებს, აშკარად პოლიტიკური კარნავალია. სტურუასთვის ჩვენი ხელისუფლება შესანიშნავი ობიექტია. ჩვენი ხელისუფლება ხომ პოლიტიკის კარნავალიზაციითა და უგემოვნებობით გამოირჩევა. ჩვენი ხელისუფლების მოქმედება დიდი რეჟისორის ხელში არაჩვეულებრივი მასალაა.

**— ბრძანეთ, სტურუამ „ძალაუფლების თეატრი" შექმნაო. თუ მისი ესთეტიკის მახასიათებელი სწორედ კარნავალურობაა, ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა კი პოლიტიკის კარნავალიზაციით გამოირჩევა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ თვალსაზრისით, ქართულ სივრცეში ისინი ერთგვარად კონკურენტებიც კი აღმოჩნდნენ?**

— კონკურენტებად მათი განხილვა არანაირად არ შეიძლება. სტურუას მხარეს ნიჭია, ხოლო ხელისუფლების მხარეს — საოცარი უნიჭობა.

**— წარმოუდგენელია, ხელისუფლება ვერ აცნობიერებდეს, რომ სტურუასთან ასეთი თამაში თავად ხელისუფლებისთვისაა წამგებიანი. ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის შეფასებით, დიდია იმის ალბათობა, რომ „ხელისუფლების კარიკატურული ბონოპარტიზმი, გროტესკულ ისტორიაში გადაიზარდოს". თქვენც ასე ფიქრობთ?**

— უკვე გადაზრდილია. რურუა, რომელიც უშვებს სტურუას, რიტმშიც კი ჯდება. ეს სარკისებური ანარეკლია იმისა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ბრეჟნევის „ზასტოის" პერიოდის ხელისუფლებას ჰგავს. რურუაც ამ ანარეკლის ნაწილია. ამ თვალსაზრისით, რურუა სტურუას პაროდიაა, ჩვენ კი დიდი ხანია, გროტესკში ვცხოვრობთ.

თავად განსაჯეთ, სტურუა კომუნისტებს გადაურჩა და ესენი ხსნიან. კაკო ბაქრაძეს აქვს კარგად აღწერილი რუსთაველის თეატრში 70-იან წლებში მიმდინარე პერიპეტიები. სწორედ იმ პერიოდში დადგა სტურუამ შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე", რასაც მაშინ დიდი ამბები მოჰყვა. სტურუა სულ ბეწვის ხიდზე გადიოდა და მოხსნა ვინ? რურუამ. ის, რომ კომუნისტებმაც არ იკადრეს სტურუას მოხსნა და რურუამ თეატრიდან გაუშვა, ეს თავისთავად არის ფანტასტიკური ისტორია. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება თავისი არსით საბჭოური და ამავე დროს სასაცილოა. ეს არასერიოზული ხელისუფლება, თან საშიშია და თანაც — სასაცილოც.

ამ ბოლო დროს, პირველი მსოფლიო დროინდელი ანეკდოტი ხშირად მახსენდება. ავსტრიელები და გერმანელები ომს აგებენ. სანგარში სხედან ავსტრიელი და გერმანელი ჯარისკაცი და საუბრობენ. გერმანელი ჯარისკაცი ამბობს — სიტუაცია სერიოზულია, მაგრამ — უიმედო. რაზეც ავსტრიელი უპასუხებს — სიტუაცია აბსოლუტურად უიმედოა, მაგრამ — სრულიად არასერიოზული. მეც საქართველოს დღევანდელ ვითარებას ასე ვსაზღვრავ — სიტუაცია უიმედოა, მაგრამ აბსოლუტურად არასერიოზული.




**კობა ბენდელიანი**

**◉ საპროტესტო აქცია რუსთაველის თეატრის წინ**

# არ უნდა წავიდეს!

**დება რუსეთიდან წამოსულ შემოთავაზებებზე",** — განაცხადა ბესო ზანგურმა.

მისივე შეფასებით, სტურუას გათავისუფლება რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან არის რეჟისორის მიმართ პრეზიდენტის პირდაპირი ანგარიშსწორება.

**„მე დარწმუნებული ვარ, რომ კულტურის მინისტრი ნიკა რურუა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი იქნებოდა, მაგრამ ის ადამიანი, ვინც მას მართავს, ანუ პრეზიდენტი, არის სრულიად უმართავი. არ არის გამორიცხული, რომ თავად ის მოვიდეს თეატრში და სამხატვრო ხელმძღვანელად დაგვიჯდეს",** — განაცხადა ბესო ზანგურმა.

მსახიობის ინფორმაციით, თანამდებობაზე რჩება თეატრის მმართველი ზაალ ჩიქობავა. **„თუმცა, მე ამ ადამიანს ვერ გავამტყუნებ, ვინაიდან როდესაც ასეთ თანამდებობას თანხმდები, გესმის, რა შეიძლება შენგან მოითხოვონ; ამავდროულად მის უკან დგას მისი ოჯახი, უამრავი ადამიანი, რომელსაც ვერ გაწირავ",** — განაცხადა ბესო ზანგურმა.

ამასთან, როგორც გუშინ ითქვა, რუსთაველის თეატრის დასს და შემოქმედებით კოლექტივს ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, თუ როგორ გააგრძელებს მოქმედებას.

### რუსთაველის თეატრის დასს ჯერ არა აქვს გადაწყვეტილი, თუ როგორ გააგრძელებენ ცხოვრებას

მსახიობ **თემიკო ჭიჭინაძის** განცხადებით, ახალი სეზონის გახსნასთან დაკავშირებით დასს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია.

**„ჩვენ შევაჯერებთ ერთიან პოზიციას. ყველა საკითხზე გავითვალისწინებთ ყველას აზრს და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებებს. ახლა ისეთი პერიოდია, რომ ფიზიკურად ყველა არ იმყოფება თბილისში და ეს ყველაფერი დროს მოითხოვს",** — აღნიშნა მსახიობმა.



იგივე აღნიშნა მსახიობმა თათული დოლიძემაც. **„ყველანი არ იმყოფებიან თბილისში. აუცილებელია, რომ სხვების აზრსაც ვცეთ პატივი. ამდენად, ვიდრე ერთიანი პოზიცია და გადაწყვეტილება არ ჩამოყალიბდება, ნაადრევია ამაზე საუბარი",** — განაცხადა თათული დოლიძემ.



ამასთან, რუსთაველის თეატრის მსახიობებს მიაჩნიათ, რომ დაუშვებელია რობერტ სტურუას სამუშაოდ სხვა ქვეყანაში გადასვლა.



**„ეს ადამიანი არის ეროვნული საგანძური და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საქართველოს საზღვრებს გარეთ გავიდეს და იქ იმუშაოს",** — განაცხადა მსახიობმა ჯემალ ღაღანიძემ.



**რისთვის არის საჭირო ფუნდამენტური მეცნიერება და რა კავშირი აქვს მას ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებასთან? ამ კითხვაზე შესანიშნავი პასუხი გასცა ამერიკელმა მეცნიერმა რობერტ რატბან ვილსონმა: „მას კავშირი აქვს მხოლოდ პატივისცემასთან, რომლითაც ერთმანეთს ვეპყრობით, ადამიანის ღირსებასთან, კულტურისადმი ჩვენს სიყვარულთან. იმასთან, თუ, რამდენად კარგი მხატვრები, მოქანდაკეები, პოეტები ვართ... მხედველობაში მაქვს ყველაფერი, რასაც კი პატივს მივაგებთ ჩვენს ქვეყანაში და რის მიმართაც პატრიოტული გრძნობები გაგვაჩნია. მას უშუალოდ ქვეყნის დაცვასთან საერთო არა აქვს, იმის გარდა, რომ აქციოს ქვეყანა დაცვის ღირსად“.**

**ჭეშმარიტად ხატოვანი, ღირსებებით აღსავსე გამონათქვამია და ჩვენც მეცნიერების როლსა და მნიშვნელობაზე საუბარს ამით ვიწყებთ აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძესთან, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანთან.**

# ჯუმბერ ლომინაძე: მეცნიერება — XXI საუკუნის გასაღები

ჯუმბერ ლომინაძე: — თანამედროვე სამყაროში მეცნიერება, როგორც კულტურის ფენომენი, საზოგადოების უმაღლეს ღირებულებათა სისტემისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. თანმიმდევრული, მეცნიერული აზროვნება ცივილიზებული სამყაროს ცხოვრების საფუძველია, მისი კონსტრუქციულ-კრეაციული ფუნქციონირების განმსაზღვრელი. სწორედ მეცნიერული პრინციპები, იდეები და ცოდნა განსაზღვრავენ თანამედროვე ურთულეს და მრავალპლასტიან ცხოვრებას, მატერიალური დოვლათის შექმნას, თანამედროვე მსოფლმხედველობას. ისედაც, ოდნავ მაინც მოაზროვნე ადამიანმა აქსიომად უნდა მიიღოს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში, ცივილიზებულ ქვეყნებთან ჰარმონიული, კონკურენტუნარიანი თანაარსებობა შეუძლებელია მეცნიერული აზროვნების კულტურის გარეშე, ანუ მეცნიერების განვითარების გარეშე. ქვეყანაში ფუნდამენტური მეცნიერების, და საერთოდ მეცნიერების შენარჩუნება და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მისი სისტემური ორგანიზების პირობებში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერების გამართული სისტემის შექმნა საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეა — არანაკლებ სტრატეგიული, ვიდრე ქვეყნის თავდაცვის სისტემის შექმნა და ხელისუფლებისგან იგი არანაკლებ ყურადღებას და ძალისხმევას მოითხოვს.

**— ჩვენი ხელისუფლება თითქოს მზად არ აღმოჩნდა მეცნიერებისთვის ხელშესაწყობად. მით უფრო, რომ ძალიან მწირი თანხები იხარჯება ბიუჯეტიდან...**

— ამ საუკუნის დასაწყისში (ლისაბონი 2000 წ. და ბარსელონა 2002 წ.) ევროპის ქვეყნების მთავრობებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციებს, რომლის მიხედვითაც ევროპა მიზნად ისახავს პირველ ათწლეულებში საზოგადოება ცოდნაზე დამყარებული გახდეს და შექმნას ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა. ამ მიზნის მისაღწევად ზოგადი პარამეტრებია: ევროკავშირის წევრებმა მეცნიერების დასაფინანსებლად ყოველწლიურად უნდა გამოყონ შიგა ეროვნული პროდუქტის 3 პროცენტამდე. ჩვენში ამ მხრივ მდგომარეობა სავალალოა — ეს მაჩვენებელი 0,2 პროცენტზე ნაკლებია. მეცნიერების განვითარებისათვის ასევე საბაზოა მეორე პარამეტრიც: ქვეყანაში ყოველ ათას მშრომელზე საშუალოდ მოსულ მეცნიერთა რაოდენობა. ევროკავშირის ქვეყნებში მოდის ხუთი და ცოტა მეტი მეცნიერ-მუშაკი, მაშინ, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში — 7, ხოლო იაპონიაში — 9-მდეა, ეს მაჩვენებელი საქართველოში ერთის ტოლია. მესამე ფუნდამენტური მაჩვენებელია, თუ როგორი ტემპებით ხდება ახალგაზრდების მიდინება მეცნიერებაში. ქვეყნისათვის, რომელიც მეცნიერების განვითარებაზე ზრუნავს, პირველ რიგში, ეს სამი პარამეტრი უნდა იყოს ორიენტირი. დადგა დრო, როდესაც ევროპა „მეცნიერულად“ ერთიანდება, ისევე, როგორც ის გაერთიანდა ეკონომიკურად (საერთო ბაზარი) და თავდაცვის სფეროში (ნატო). თუკი ჩვენ დასავლური ორიენტაცია გვაქვს, აუცილებელია, რომ მეცნიერება ჩვენი ევროპასთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი არტერია გახდეს. ევროპისადმი ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართული არმიის ნატოს სტანდარტებზე გადასვლა ჩვენი ევროპასთან ჰარმონიზაციის და ასოცირების არასაკმარისი პირობაა. შეიძლება ითქვას, რომ თუკი სამხედრო საქმეებში დასავლეთთან ჰარმონიზაცია მასთან კავშირის ტექნიკური აუცილებლობით არის განპირობებული, მეცნიერული და მენტალური ჰარმონიზაცია ორგანული კავშირის საფუძველია: მხოლოდ სამხედრო საქმეებში ჰარმონიზაცია ევროპასთან ფორმალურად დაგვაკავშირებს, მაგრამ რეალურად ევროპისათვის „უცხო სხეულად“ დაგვტოვებს. საჭიროა ჩვენშიც, ისევე როგორც ევროპაში, ფუნდამენტურ მეცნიერებას მიექცეს სათანადო ყურადღება. უნდა აიგოს ევროპული ტიპის ფუნდამენტური მეცნიერების ერთიანი „ორგანიზმი“ — ფუნდამენტურ მეცნიერებათა ერთიანი ცენტრი და ევროპასთან მეცნიერულ კავშირებს სისტემური ფორმა მიეცეს.

**— როგორც ვიცით, ჯერ კიდევ 2004 წელს შესთავაზეთ ხელისუფლებას მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლებმა თქვენი კონცეფცია.**

— მოგახსენებთ, რომ იმ პერიოდში შექმნილი იყო სახელმწიფო კომისია და მასში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან მეცნიერთა ჯგუფი შედიოდა. ამ ჯგუფმა გააანალიზა ევროპული მაგალითები და საქართველოში მეცნიერების ორგანზების კონცეფცია შეიმუშავა. ეს იყო დეტალური ხედვა სათაურით — „საქართველოში ფუნდამენტურ მეცნიერებათა როლისა და მისი კვლევების სისტემის (მეცნიერებათა აკადემიის) რეორგანიზაციის შესახებ“. ტექსტში განხილული იყო მეცნიერებასთან დაკავშირებული ყველა საჭირბოროტო საკითხი: ევროპის საერთო სამეცნიერო სივრცისა და მასთან გაერთიანების შესახებ; საქართველოში ფუნდამენტურ მეცნიერებათა ორგანიზების და მართვის რეფორმის კონცეფცია; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის ანალიზი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული მეცნიერების მართვის რეფორმების კონცეფციის შესახებ; მეცნიერული კვლევების სისტემის უმაღლეს სასწავლებლებთან ინტეგრირების შესახებ; ფუნდამენტურ მეცნიერებათა ეროვნული ცენტრის — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუციური მოწყობა და მართვა; ახალგაზრდა მეცნიერთა ჩამოყალიბების სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შესახებ; ბაზური და გრანტული დაფინანსების შესახებ; მეცნიერება, როგორც თანამედროვე დასავლური მსოფლმხედველობის ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორი.



სამწუხაროდ, ეს ხედვა არ გაიზიარეს და საერთოდაც, რაიმე მოსაზრება სახელმწიფო კომისიის მთავრობის წარმომადგენლებისაგან არ გამოთქმულა.

**— ხომ არ ჰქონდა საქართველოს სამეცნიერო აკადემიის კომისიის წარდგენილ მოსაზრებებს ოდნავ მაინც კონსერვატიული ელფერი?**

— არა, პირიქით, წარდგენილ მოსაზრებებში ყოველგვარი კონსერვატიული ფაქტორების თვალნათელი კრიტიკა იყო. წარდგენილი კონცეფციის ტექსტი არსებობს და შეგიძლიათ ნახოთ. როგორც მოგახსენეთ, ქვეყანაში ფუნდამენტური მეცნიერების, და საერთოდ მეცნიერების შენარჩუნება და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მისი სისტემური ორგანიზების პირობებში. საქართველოში კი მეცნიერების ორგანიზება შორსაა სისტემური ორგანიზებისაგან.

**— ბატონო ჯუმბერ, უპრიანია ვისაუბროთ თვით მეცნიერებათა აკადემიაზე, მის 70-წლიან ისტორიაზე, განვლილ გზაზე ...**

— საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის დაარსება ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ეს მოხდა ომის პერიოდში ... იგი დააფუძნეს ბუმბერაზმა მეცნიერებმა: გ. ახვლედიანმა, ი. ბერიტაშვილმა, კ. ზავრიევმა, კ. კეკელიძემ, ნ. კეცხოველმა, ნ. მუსხელიშვილმა, ა. თვალჭრელიძემ, დ. უზნაძემ, ა. ჩიქობავამ, ა. შანიძემ, ს. ჯანაშიამ და სხვებმა.

აკადემიამ ძალიან დიდი გზა განვლო და მაღელვებს, როცა ამბობენ, საბჭოთა კავშირის დროს მეცნიერება არ იყოო ... სხვათა შორის, ამის თაობაზე ხატოვნად თქვა ფიზიკოსმა ლეონიდე კელდიშმა: **„ყველაზე ცუდი, რაც კი საბჭოთა კავშირში იყო, ყველაზე კარგი მაინც აკადემია იყოო“.** ცხადია, მეცნიერებათა აკადემიის მიმართვაში იყო კონსერვატიზმი, რაც გაანალიზებული იყო 2004 წელს სამთავრობო კომისიაში წარდგენილ კონცეფციაში. საჭირო იყო ამ კონსერვატიზმის აღმოფხვრა, მართვის მოდერნიზაცია, და არა ერთიანი სამეცნიერო სისტემის დაშლა. იმ პირობებშიც კი უდიდესი მიღწევები გვქონდა ფიზიკაში, მათემატიკაში, ფსიქოლოგიაში, აღმოსავლეთმცოდნეობასა თუ სხვა დარგებში. უძლიერესი სამეცნიერო სკოლები შეიქმნა: ასტროფიზიკის მსოფლიოში ცნობადი სკოლა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა, ჩვენ უნდა ვიამაყოთ მათემატიკის სამეცნიერო სკოლით, ასევე, ბერიტაშვილის მიერ შექმნილი ფიზიოლოგიის სამეცნიერო სკოლით, ყოველთვის ვამაყობდი უზნაძის ფსიქოლოგიის სამეცნიერო სკოლით. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ უცხოეთში წიგნის მაღაზიაში, სადაც ფსიქოლოგიაში კლასიკოსების წიგნებია გამოფენილი, უზნაძის ტომეულები რომ შემოგცქერიან. ჩვენ კი, ასეთი წარსულის მემკვიდრეებს ოცდამეერთე საუკუნეში ფსიქოლოგიის ინსტიტუტის არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენეთ. ასევე რთული ვითარებაა ბოტანიკის ინსტიტუტში, სადაც მიმდინარეობს საინტერესო სამუშაოები საქართველოს ფლორის მეორე კრებულის გამოცემისათვის. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის ჰერბარიუმი უკვე სამ საუკუნეს ითვლის, რაც დიდ სიმდიდრეს და მეცნიერულ ფასეულობას წარმოადგენს.

სრულიად გაუმართლებლად მიმაჩნია მეცნიერებათა აკადემიაში არსებული კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერთება სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან ცენტრის სახით. ინსტიტუტის დირექტორი მრავალი წლის მანძილზე კ. ზავრიევი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელთა ჯგუფის წევრი. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულება. ამრიგად რეფორმის შედეგად საქართველოში შეწყდა სისტემატური კვლევები სეისმომედეგი მშენებლობის საკითხებზე. ასევე გაურკვევლობაში არიან მთელი რიგი ინსტიტუტებისა.

თუკი რამე ხარვეზი არსებობს, კი არ უნდა დაიხუროს სამეცნიერო დაწესებულება ან შეწყდეს საქმიანობა, პირიქით, ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს და მდგომარეობა გამოსწორდეს. ჩემი ხელმძღვანელობით 70-იანი წლების დასასრულ 80-იანი წლებიდან, მეცნიერებათა მიჯნაზე, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი შეიქმნა პლაზმური ასტროფიზიკის მიმართულება და შესრულდა და სრულდება პიონერული, ფუძემდებლური შრომები.

**— უფრო კონკრეტულად?**

— წინა საუკუნის 70 წლების დასასრულს აბასთუმნის ობსერვატორიაში ჩემი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა მეცნიერთა ჯგუფი, რომელმაც მუშაობა დაიწყო პლაზმის ფიზიკისა და ასტროფიზიკის მიჯნაზე გაჩენილი მიმართულებით — პლაზმური ასტროფიზიკის მიმართულებით. მიმართულება პიონერული იყო და საქმიანობაც ასევე წარვმართეთ. მჭიდრო კონტაქტები დავამყარეთ მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო სკოლებთან. საბედნიეროდ, კარგი კონტაქტები გვქონდა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებთან. ინტენსიურად ვიწვევდით მსოფლიოში ცნობილ მეცნიერებს სემინარების წასაკითხად და ერთობლივი სამეცნიერო შრომების შესასრულებლად. ჩავატარეთ რამდენიმე ფართო სამეცნიერო კონფერენცია. განსაკუთრებით გამოვყოფდი 1986 წელს სოხუმში ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დასასვენებელ სახლში ჩატარებულ კონფერენციას, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღო ბევრმა პლაზმის ფიზიკისა და ასტროფიზიკის კორიფემ. დაუვიწყარი დისკუსიები იმართებოდა. ასეთ შეხვედრებში და დისკუსიებში იკრებდა ძალას ჩვენი სამეცნიერო სკოლა, რომელმაც საკმაოდ სწრაფად მიაღწია აღიარებას და გახდა მსოფლიოში ცნობადი. ამის შედეგია, ის რომ შემდგომ თაობას გაუიოლდა გზის გაკვლევა და მსოფლიო მეცნიერებში ინტეგრება. უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ეს ყველაფერი მახარებს, მაგრამ აქ გულსატკენი ისაა, რომ ამ თაობას საქართველოში საქმიანობის საშუალება არ აქვს.

**— მალე აღინიშნება მუსხელიშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილე . რას გვეტყვით ქართულ მათემატიკურ სკოლაზე?**

— საქართველოში უმაღლესი მათემატიკური განათლების სათავეებთან იდგნენ ა. რაზმაძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე და ა. ხარაძე.

რაც შეეხება მსოფლიოში აღიარებულ მათემატიკურ სამეცნიერო სკოლას, მის სათავეებთან იდგნენ ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ა. ბიწაძე, ვ. კუპრაძე და სხვები.

დრეკადობის თეორიისა და სინგულარულ ინტეგრალურ თეორიაში მუსხელიშვილის მსოფლიოში აღიარებული სკოლის კვალდაკვალ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში ჩამოყალიბდა და განვითარდა მათემატიკურ მეცნიერებათა სხვა დარგები: ალგებრა, გეომეტრია და ტოპოლოგია, თანამედროვე წრფივი და არაწრფივი ანალიზი, ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებები, ალბათობათა თეორია და სტოქასტური პროცესები, მათემატიკური ლოგიკა და სხვა. ყველა ამ მიმართულებით ქართველ მათემატიკოსთა სამეცნიერო შედეგებმა ძალიან სწრაფად მოიპოვეს საერთაშორისო აღიარება. ამის დასტურია ქართველ მათემატიკოსთა სისტემური მიღწევები სხვადასხვა უცხოეთის პრესტიჟულ უნივერსიტეტებში ლექციების წასაკითხად და ერთობლივი სამუშაოების შესასრულებლად. ასევე მათი სისტემური მიწვევები პლენარულ მომხსენებელთა რანგში სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე. აღსანიშნავია აგრეთვე ქართულ მათემატიკოსთა მრავალრიცხოვანი მონოგრაფიები გამოქვეყნებული უკანასკნელი დეკადის მანძილზე მეტად პრესტიჟულ სამეცნიერო საერთაშორისო გამოცემებში.

ცოტა ხნის წინ ჩინეთიდან მივიღე წერილი პეკინის მეცნიერების და ტექნოლოგიის ინსტიტუტის პროფ. ტიან-იუ ფანისაგან, სადაც ის მწერს, რომ Springer-Verlag (გერმანია) და Science Press (ჩინეთი) მისი ავტორობით გამოქვეყნდა შრომა „კვაზიკრისტალებისა და მათი გამოყენების დრეკადობის მათემატიკური თეორია“. როგორც ავტორი წერს, აღნიშნული მონოგრაფია დაწერილია მუსხელიშვილის შრომების საფუძველზე და მისი გავლენით.

აღსანიშნავია ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის დიდი საერთაშორისო აღიარება.

მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს ფიზიკის მიმართულებითაც. ქართული ფიზიკის სკოლის განვითარებაში დიდი როლი ითამაშეს ე. ანდრონიკაშვილმა, ი. გვერდწითელმა, ვ. მამასახლისოვმა, მ. მირიანაშვილმა, გ. ხუციშვილმა, ი. ქვარცხავამ, ვ. ჭავჭანიძემ და სხვებმა. ამ ღვაწლის შედეგია, რომ დღეისათვის საქართველოში ფიზიკის მრავალი მიმართულება განვითარდა და დასავლეთის აღიარებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში მოღვაწეობენ წარმატებული ქართველი მეცნიერები. უფრო მეტიც, დღეისათვის, მაგალითად, ე. ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი საერთაშორისოდ აღიარებული კვლევითი ცენტრია.

საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ობსერვატორიის დაარსება და ასტრონომიის განვითარება. საბჭოთა კავშირში პირველი სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაფუძნება აბასთუმანში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რიგით მესამე პრეზიდენტის, ევგენი ხარაძის უშუალო დამსახურებაა.

ცხადია, საგაზეთო ინტერვიუში შეუძლებელია ყველა სამეცნიერო დარგის მიმოხილვა, სადაც მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები. მე მხოლოდ შევეცადე შემეხსენებია ქართული მეცნიერების წარმატებები ფიზიკისა და მათემატიკის დარგებში.

**— დღეს რა ფუნქცია აქვს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას?**

— სამწუხაროდ, ჩვენი მუშაობის სისტემა არც ერთ მოდელს არ შეესაბამება. სამეცნიერო ინსტიტუტები აკადემიის დაქვემდებარებიდან გაიყვანეს და დაგვიტოვეს მხოლოდ მთავრობის მრჩევლისა და ექსპერტიზის ფუნქცია. თუ ასე შეზღუდული ფუნქცია გვრჩება, მაშინ დაგვეკითხონ მაინც ფსიქოლოგიის, ბოტანიკის და სხვა სამეცნიერო ინსტიტუტების ბედის განსაზღვრისას ...




**– ბატონო ჯუმბერ, თქვენი საუბრიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს ზოგადად არასწორი მიდგომა აქვს მეცნიერებისადმი და მხოლოდ ბიუჯეტის მწირი თანხები აქ არაფერ შუაშია...**

– ცხადია, საფუძველი სწორი მიდგომის გამომუშავებაა. მაშინ მეცნიერების სისტემური ორგანიზება მოხდება და შესაბამისი დაფინანსება თავისთავად იქნება. ერთმა მეცნიერმა თქვა: მეცნიერება ეს არის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება სახელმწიფო ხარჯზეო. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, მეცნიერს ხელშეწყობა სჭირდება ფინანსურადაც. საბჭოთა კავშირი უზარმაზარ ფულს ხარჯავდა: მეცნიერს შეეძლო თავის ხელფასით თავი შეენახა, უცხოეთში წასულიყო, საჭირო აპარატურა ეყიდა... ვეთანხმები იმ აზრსაც, რომ ზოგიერთი ინსტიტუტის შტატი გაბერილი იყო, ბევრი უსაქმო მუშაობდა, მაგრამ ამის მოგვარება შეიძლებოდა. დღეს მეცნიერ-თანამშრომელთა ხელფასი ძალიან დაბალია. ამის გამო ახალგაზრდები არ ირჩევენ მეცნიერებას თავიანთი ცხოვრების საქმიანობად. ის მცირე რაოდენობა ახალგაზრდებისა, რომლებიც მაინც აკეთებენ ამას, უცხოეთში მიდიან სამუშაოდ.

**– თუმცა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მათ საქართველოს სახელი ღირსეულად გააქვთ და სამეცნიერო ტიტულებსაც იხვეჭენ.**

– ბუნებრივია, ეს ძალიან გვახარებს. სამწუხაროდ, ამჟამად მეცნიერული საქმიანობა საქართველოში არსებითად ენთუზიაზმზეა დამყარებული. ამის მიუხედავად, მეცნიერებათა ისეთ დარგებში, რომლებშიც ოდნავ მაინც არის კვლევის შესაძლებლობა (ეს ძირითადად თეორიულ კვლევებს შეეხება) წარმატება გვაქვს, – ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერები აბსოლუტურად შეესაბამებიან მსოფლიო დონეს. ამის დასტურია ქართველი მეცნიერების პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში, ცნობილ გამოცემებში, მათ იწვევენ ლექციების წასაკითხად, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად. მე ხშირად ვახსენებ ჩვენს სახელოვან თანამემამულეს, ახალგაზრდა ფიზიკოსს გია დვალს. ასევე ის რად ღირს, რომ მსოფლიოში უდიდეს ექსპერიმენტში, რომელიც ცერნში ტარდება და დიდი ადრონული კოლაიდერი ჰქვია (იქ ხდება მოდელირება, როგორ შეიქმნა სამყარო და რისგან შედგება მატერია), 25 ქართველი მეცნიერისგან შემდგარი ჯგუფი აქტიურად მუშაობს...

**– ამიტომაც ამბობენ თქვენი ოპონენტები, მეცნიერება რომ ინგრეოდეს, ამდენი გამოჩენილი ახალგაზრდა არც გვეყოლებოდაო...**

– მაშინ, რატომღა მიდიან ისინი საზღვარგარეთ, ვისზე ნაკლებად უყვართ საქართველო და ვისზე ნაკლები პატრიოტები არიან?! მათ აქ სჭირდებათ ხელშეწყობა. მესმის, რომ ეკონომიკური კრიზისია, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს მიზეზი მეცნიერების მეორეხარისხოვან საქმიანობად გადაქცევისა. საბედნიეროდ, მეცნიერებას საზღვრები არ აქვს, – იგი საერთაშორისო საქმიანობაა და სხვა ქვეყნები აფასებენ იმას, რაც ჩვენში არ ფასდება. მეცნიერებისა და განათლების მინისტრებს ახალ-ახალი რეფორმები მოაქვთ, რომლებშიც არ იგრძნობა ერთიანი ხედვა და მსოფლიოში აღიარებული, მეცნიერების განვითარებისათვის აუცილებელი, ზემოთ მოყვანილი სამი პირველადი პარამეტრის გათავისება.

გასაგებია, რომ სხვა დროა, ახალი ღირებულებები მკვიდრდება. ამ ფონზე მეცნიერების სახელმწიფო ღირებულება მით უმეტეს უნდა იზრდებოდეს – იგი ოცდამეერთე საუკუნის გასაღებია. ჩვენს უმდიდრეს ინტელექტუალურ პოტენციალს დაცვა სჭირდება.

ამიტომ დაფიქრება გვმართებს, სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან! იმედს არ ვკარგავ, რომ საქართველოს სახელმწიფო და მეცნიერება საბოლოოდ მაინც შეძლებენ თვითორგანიზებას და ერთმანეთის სასარგებლოდ განვითარებას.

**აინშტაინმა ბრძანა, რომ პოლიტიკა ეკუთვნის აწმყოს, განტოლებები – მომავალს. ამის პერიფრაზირება კი ასეთია: პოლიტიკა დროებითია, მეცნიერება – მარადიული.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

## გამოვიდა

# დევი ექვსთავიანიც შეიძლება იყოს...

**ქართველმა მეცნიერებმა კიდევ ერთხელ გაგვახარეს საერთაშორისო განზომილების წარმატებით. ამჯერად მათემატიკოსებზე ვისაუბრებთ, ოღონდ ჩვენს ორ თანამემამულეს ერთი შვედიც დაემატება...**

მსოფლიოში მაღალპრესტიჟულმა ნიუ-იორკის გამომცემლობამ „ნოვა საენს“-მა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დასტამბა ვ. კოკილაშვილის, ა. მესხისა და ლ. ე. პერსონის მონოგრაფია „წონითი უტოლობები ნამრავლიანგულიანი ინტეგრალური გარდაქმნებისათვის“. ინგლისურენოვანი ნაშრომის თუნდაც ძალიან მოკლე შინაარსის გადმოცემისაგან თავს შევიკავებთ, მკითხველი რომ სპეციალური მათემატიკური ტერმინების გრძელ წყებას ავარიდოთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ მრავალგანზომილებიან ინტეგრალურ ოპერატორთა თეორიაში ეს გახლავთ პირველი კაპიტალური გამოკვლევა, სადაც ამოხსნილია ამ დარგის დიდი ხნის განმავლობაში ღიად დარჩენილი არაერთი ამოცანა და მიღწეულია ეფექტური გარღვევა გარკვეული საკითხების ამომწურავი შესწავლის გზაზე.

აი, წიგნის საგულისხმო „ანატომიას“ კი გაგაცნობთ: ეს გახლავთ ვრცელი, 340-გვერდიანი მონოგრაფია 6 თავით, სახელთა და ცნებათა საძიებლებითა და 177 დასახელების ლიტერატურით. ყოველ თავს ახლავს კომენტარები, ნაშრომის სულ ბოლოს კი თავმოყრილია განხილული თემატიკის ჯერაც გადაუწყვეტელი პრობლემები სპეციალისტების კიდევ მეტად „დასაინტრიგებლად“...

ორიოდე სიტყვა წიგნის ქართველ ავტორებზე: ვახტანგ კოკილაშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგეა; ალექსანდრე მესხი ამავე ინსტიტუტის ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ვსარგებლობ შემთხვევით და ამ უმაღლესი სასწავლებლისათვის გთავაზობთ აბრევიატურას „სტუ“, მკვიდრად შემორჩენილი „გპი“-ს ნაცვლად – თ. ეძ სრული პროფესორია; აქვე სათქმელად ალეკო მესხი ერთ-ერთი გამორჩეულია ვახტანგ კოკილაშვილის აღზრდილ მოწაფეთა შორის.

არც ბატონი ვახტანგი და არც ბატონი ალეკო „სრ“-ის ფურცლებისათვის უცხონი არ არიან; ამიტომაც ინტერნაციონალური საავტორო სამეულის მესამე უცხოელ წევრზე, შვედ ლარს ერიკ პერსონზე „ორიოდე სიტყვაზე“ მეტს მოგახსენებთ, მით უფრო, რომ ის თურმე სულაც არ ყოფილა ქართველთათვის „პერსონა ნონ გრატა“...

ლარს ერიკ პერსონი გახლავთ ლულეოსა და უპსალას უნივერსიტეტების პროფესორი, 12 მონოგრაფიისა და 200 შრომის ავტორი, 46 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი (რეკორდული ციფრი შვედეთის


Mathematics Research Developments Series

Weighted Norm Inequalities for Integral Transforms with Product Kernels

Vakhtang Kokilashvili
Alexander Meskhi
Lars-Erik Persson


ლარს ერიკ პერსონი

ყველა დროის მათემატიკოსთა შორის!); წლების სიგრძეზე იყო შვედეთის მათემატიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი.

ერთ-ერთ თავის წიგნში ვ. კოკილაშვილის მოწაფეები პერსონმა, რასაკვირველია, მასწავლებლის ჩათვლით, მოიხსენია უმნიშვნელოვანეს ქართულ მათემატიკურ სკოლად, ვ. კოკილაშვილისა და ა. მესხის ერთობლივი ნაშრომის მითითებით. ქართველებთან შვედის კონტაქტები დამყარდა საერთაშორისო შეკრებებზე, ვიზიტების ურთიერთგაცვლით. მაგალითად, ბატონი ვახტანგი 2009 წელს მიწვეული გახლდათ ლულეოში გამართულ „თეთრი ღამის“ კონფერენციაზე, რომელიც პერსონის 65 წლისთავს მიეძღვნა, იმავდროულად – ლულეოს უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციის ოპონენტად.

30 წელია, რაც ის რეგულარულად მონაწილეობს სპორტული ორიენტაციის ასპარეზობებში, თავის ასაკობრივ ჯგუფში თვალსაჩინო მიღწევებით, თანაც 10 წლის მანძილზე ამ სახეობის კლუბის თავმჯდომარე გახლდათ.

**თუ როგორ ახერხებდა 12 მონოგრაფიისა და 200 სტატიის დამწერი და 46 სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელი სპორტისათვის ამდენი დროის დათმობასა და აქაც შთამბეჭდავი შედეგების მოპოვებას – ეს მარტო თავად ეცოდინება.**

**...ბავშვობაში წაკითხული თუ მოსმენილი ზღაპრებიდან დევები მახსოვს ერთთავიანი, სამთავიანი და ცხრათავიანი, თავების რაოდენობა კიდევ – ღონის გამომხატველი. სამი ავტორის შესანიშნავ ექვსთავიან წიგნს რომ გავეცანი, ღონიერ ექვსთავიან მათემატიკურ „დევად“ წამომეჩვენა...**

**თამაზ ებანოიძე**

## ამოუცნობი

# ვინ სახლობდა ევროპაში მამონტების ხანაში?

**ბოსნიისა და ჰერცოგოვინის დედაქალაქ სარაევოდან 30 კილომეტრში მდებარე ქალაქ ვისოკოს შემოგარენში ჩატარებულ გამოკვლევათა სერიის შემდეგ, სარაევოს უნივერსიტეტის დოქტორმა სემირ ოსმანაგიჩმა განაცხადა, რომ იმ მიდამოებში, ტყით დაფარული მთა სინამდვილეში... 40 ათასი წლის წინათ უცნობი ცივილიზაციის მიერ აგებული 220-მეტრიანი პირამიდაა!**

არქეოლოგიური გათხრები მალევე დაიწყეს და, ფაქტობრივად, მაშინვე დაადგინეს, რომ **„მთა“ 2-3 მეტრის სიმაღლის ქვის უზარმაზარი ბლოკებისგან შედგება, მის წვერზე საფეხურები ადის, ფუძეში მოკირწყლული გზაა, ხოლო შიგნით ტერასებია გაჭრილი.**

ვისოკოს ველზე სულ ხუთი პირამიდა აღმოაჩინეს, რომლებიც ძველმა ხუროებმა მზის, მთვარისა და დრაკონის უცნობი ღვთაების პატივსაცემად ააგეს.

– სკოლიდანვე გვასწავლიან, ისტორიაში თეთრი ლაქები აღარ დარჩაო, მაგრამ განა იმის თქმა შეგვიძლია, თუ რა ხდებოდა დედამიწაზე თუნდაც 20-30 ათასი წლის წინათ, როცა ისტორიკოსები მეორე მსოფლიო ომის ამბების თაობაზე ჯერაც კამათობენ? – ამბობს დოქტორი ოსმანაგიჩი. – ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ჩვენი ცივილიზაცია ბუნებრივმა კატაკლიზმებმა რომ გაანადგურონ, შემდეგ კი დედამიწა სხვა ხალხმა დაასახლოს, მათაც არ ეცოდინებათ ჩვენს შესახებ არაფერი და ეგონებათ, რომ ადრევე აქ მხოლოდ მამონტები და დინოზავრები სახლობდნენ.

ვისოკოში გათხრების შემდეგ მეცნიერთა სამყარო ორად გაიყო. მართლაც, **ძნელია იმის დაჯერება, რომ ათასწლეულების განმავლობაში შუაგულ ევროპაში უცნობი ცივილიზაციის პირამიდები იყო აღმართული, მათ კი ყურადღება არავინ მიაქცია.** მეტიც: დოქტორ ოსმანაგიჩს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის კულტურის სამინისტრომაც კი მოუწყო ობსტრუქცია, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ მართალია, ქვის პირამიდები ნამდვილად არსებობს, მაგრამ ისინი **„ბუნებრივი ფორმირებით, ადამიანის ჩაურევლადაა შექმნილი“.**

ამის პასუხად დოქტორმა ოსმანაგიჩმა ვისოკოში მსოფლიო მეცნიერთა ნაკრები „დესანტი“ გადასხა, მათ შორის ცნობილი ეგვიპტოლოგი ნაბილ აბდელ-სველიმი, რომელმაც თავის საინსპექციო ანგარიშში, კერძოდ, აღნიშნა: **„ბუნებრივი ფორმაცია დადგენილი არ არის, ბუნება საფეხურებსა და ტერასებს არ წარმოქმნის, არსებითად, „მზის პირამიდა მსოფლიოში უდიდესი ნაგებობაა, რომელიც ხეოფსის პირამიდაზე 30 მეტრით მაღალია“.**

დოქტორი ოსმანაგიჩი დარწმუნებულია: **პირამიდების წიაღში მთელი ქალაქები იმალება. საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გათხრებისას მოხალისეები არანაირ ნაშთებს არ პოულობენ – არც ადამიანების, არც ცხოველების, არც მკვდარი მწერების. იქ ჭიაყელებიც კი არ არის!** მეცნიერის აზრით, ეს ბუნებრივი კატაკლიზმის დამადასტურებელი ნიშანია, რომელმაც ვისოკოს პირამიდები შიგნიდან გამოწვა, იდუმალი ცივილიზაციის ხალხმა ველი ისევ მიატოვა, როგორც მაიას ინდიელები გაიქცნენ იუკატანში თავიანთი ქალაქებიდან. **არადა, ეჭვი არ არის: მსოფლიოში ყველა პირამიდა ერთი და იგივე სქემითაა აგებული!**

ბოსნიური „სასწაულის“ ოთხივე მხარე ქვეყნის მხარეების მიხედვითაა ორიენტირებული, თანაც ჩრდილოეთის მხარე პოლარულ ვარსკვლავზეა მიმართული ისე, როგორც ეს ეგვიპტესა და მექსიკაშია.

პირამიდებში ერთი ლაბირინთი სპირალურად იხვევა და მეორეში გადადის, და ასე უსასრულოდ გრძელდება. მიწისქვეშა დერეფნები 8-10 კილომეტრზეა გადაჭიმული, გათხრები კი უკვე ხუთი წელია მიმდინარეობს. ერთ- ერთ ლოდზე ამოკვეთილია რუნების სიმბოლოები, რომლებიც ლათინურ E და Y ასოებს ჰგვანან.

– მიჩნეულია, რომ რუნები, ძველ გერმანელთა დამწერლობა, ჩ.წ.ა I საუკუნეს განეკუთვნება, – ამბობს დოქტორი ოსმანაგიჩი. – არადა, ეს ლოდი, ანალიზის შედეგების თანახმად, ეგვიპტელ ფარაონებზე გაცილებით დიდი ხნისაა. როგორ შეიძლებოდა ის მიწისქვეშეთში მოხვედრილიყო? აი, ეს ბრტყელი ფილა კი მალტაზე ქვის ხანის სალოცავის საკურთხეველი გეგონებათ. ჩემს მილანელ და ტრიესტელ კოლეგებს მიაჩნიათ, რომ **მზის პირამიდას, მთლიანობაში, ათას წელზე მეტ ხანს აშენებდნენ!**

გათხრებისას, გარდა ლოდზე ამოტვიფრული რუნებისა, კიდევ უცხო ორნამენტით მოხატული სვეტები და ფილები აღმოაჩინეს.

მაშ, ვინ იყვნენ ის იდუმალი მშენებლები, ვინც შუაგულ ევროპაში ამხელა ნაგებობები წამოჭიმეს?

– პირამიდებს მრავალი წლის განმავლობაში ვსწავლობ და შემიძლია გითხრათ, რომ **ეგვიპტეშიც კი ზოგიერთი მეცნიერი არ იზიარებს იმ ოფიციალურ აზრს, რომ პირამიდები აკლდამებს წარმოადგენენ, – ამბობს დოქტორი ოსმანაგიჩი. – დღემდე არ არსებობს იმის ახსნა, თუ როგორ შეეძლოთ ძველ ეგვიპტეში საგანგებო ამწეების, ხსნარის გარეშე, ხელით წამოემართათ ასეთი უზარმაზარი ნაგებობები. არადა, ეგვიპტეს გარდა პირამიდები მექსიკაშიც არის, პერუშიც, არიან ისინი აფრიკასთან კუნძულ ტენერიფზე, კუნძულ მავრიკიზე, ინდონეზიაში, წყალქვეშა პირამიდაა ტაივანთან... ფაქტობრივად, გამოდის, რომ მსგავსი ნაგებობები მთელ დედამიწას ფარავდნენ.** მთავარი კითხვა – ვის ეკუთვნოდნენ ისინი და რა დანიშნულება ჰქონდათ სინამდვილეში – ჯერაც პასუხის გარეშე რჩება.

**ლალი ხუნდაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო აცხადებს, რომ რუსეთთან მოლაპარაკება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით შეფერხდა

**საქართველოს ელჩმა ჟენევაში არაჩვეულებრივი ნაბიჯი გადადგა. მან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ყველა წევრს გაუგზავნა წერილი გაფრთხილებით, რომ საქართველოს მოლაპარაკება მოსკოვის ამ ორგანიზაციაში შესვლის გამო მიმდინარეობს ძალიან მძიმედ. მოსკოვიდან, ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან მუდმივი ზემოქმედების მიუხედავად, საქართველო აცხადებს, რომ არ მისცემს რუსეთს საშუალებას შევიდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, თუ პირობები უსამართლო იქნება.**

12 აგვისტოს გაგზავნილ კონფიდენციურ წერილში საქართველოს ელჩმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჩაწერა: „საქართველოს საუბედუროდ, რუსეთის ფედერაცია უარს აცხადებს დააკმაყოფილოს საქართველოს რომელიმე საკვანძო თხოვნა“. ის აგრეთვე იმეორებს, რომ საქართველო უკმაყოფილოა პრეზიდენტ მედვედევის გადაწყვეტილებით, რომელმაც მოსთხოვა სახელმწიფო დუმას მოახდინოს აფხაზეთთან საბაჟო შეთანხმების ხელმოწერა.

„მიუხედავად საქართველოს მზადყოფნისა აწარმოოს კონსტრუქციული დიალოგი და გამონახოს ორივე მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება ამ პრობლემისა, რუსეთის მხარე ახდენს მოლაპარაკების პროცესის პოლიტიზირებას“, – ნათქვამია წერილში. ასეთ ვითარებაში ძალიან ძნელია იქონიო იმის იმედი, რომ მოლაპარაკება მოგვცემს რაიმე არსებით შედეგს, განაცხადა ელჩმა.

ამ დროს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი პასკალ ლამი ამბობს, რომ რუსეთი მალე შევა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. „ჩინოვნიკების სიტყვებით, ბ-ნ ლამის სურს გამარჯვება, რომ აალორძინოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრესტიჟი დოხიის რაუნდის ჩავარდნის შემდეგ“, – ნათქვამია სტატიაში. ამ დროს რუსეთის გზაზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისაკენ, საქართველოს წინააღმდეგობის გარდა, რჩება კიდევ რამდენიმე დაბრკოლება.

REUTERS

# რენი ჰარლინის ყალბი რუსი ბოროტმოქმედები

**ყალბი რუსული აქცენტი „ომის 5 დღეში“ გაისმის, როგორც დაბალი ხარისხის მიბაძვა ბორისისა და ნატაშასადმი, ცივი ომის ბოროტმოქმედებისადმი ძველი მულტფილმიდან „როკისა და ბულვინკლის თავგადასავალი“.**

სინამდვილე ეს არ არის მთავარი რენი ჰარლინის უგუნურ და უეშმაკო ფილმში ჟურნალისტებზე, რომლებიც აშუქებენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენებს, და რომლებიც ცდილობენ დაუბრუნონ ოჯახს ხაფანგში მოხვედრილი ქართველი მასწავლებელი (ემანუელ შრიკის შესრულებით).

„კერკეტი კაკალი-2“-ის რეჟისორმა ჰარლიმ იცის, თუ როგორ შექმნას ბუზიდან სპილო, მაგრამ იგი და სცენარის ავტორები მიკო ალანი და დევიდ ბეტლი არ ჰგვანან მიხვედრილ და გამჭვირვალე ადამიანებს.

ყველა ჟურნალისტი, მათ შორის უშიშარი ტელერეპორტიორი (რუპერტ ფრენდი), მისი მიხვედრილი ოპერატორი (რიჩარდ კოილი) და ცბიერი კორესპონდენტი (ველ კილმერი) შაბლონურები არიან, როგორც საბაზრო სურათის გმირები.



ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეები ძირითადად მეტად აკურატულად არიან დაყოფილი სიკეთისა და ბოროტების ძალებად. კაპიტანი რეზო ავალიანი (ჯონატან შაეხი) ეს არის უანგარო ქართველი, რომელიც იბრძვის თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის, ხოლო პოლკოვნიკი ალექსანდრ დემიდოვი (რადე შერბეჯია) – დაუნდობელი რუსი, ვისი ხელქვეითებიც ხოცავენ სოფლის მცხოვრებლებს და იპარავენ პირუტყვს (ის ძველმოქმედება, რასაც პოლკოვნიკი ავლენს ფილმის ბოლოს, მეტად არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება).




ჩნდება იქ ქართველი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც – ჭკვიანი და ნებისყოფიანი პოლიტიკოსი ამერიკული სტილისა, რომელსაც ენდი გარსია თამაშობს. არ ვიცი კიდეც, რა უფრო გამოიყურება ყველაზე უგუნურად: გარსიას არაბუნებრივი აქცენტი თუ გამოგონილი სცენები ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩევლის მონაწილეობით.

ომი გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე ის ვერსია, რომელიც ჩვენ წარმოგვიდგინეს სურათში. ფილმს იღებდნენ საქართველოში და მას აშკარად პროქართული მიმართულება აქვს. სამართალდაცვის ორგანიზაციები კი ამ დროს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიმკაცრეს სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ავლენდა ორივე მხარე.

ეს თემა იმსახურებს უფრო სერიოზულ კინემატოგრაფიულ დამოკიდებულებას.

Bloomberg.com

# დედამიწის ზურგზე



**დაასახელეს ადგილები, სადაც შეიძლება იმალებოდეს გამძრალი კადაფი. მისი რეზიდენციიდან ტანკები გამოვიდა**

ერთ-ერთი სააგენტო დიპლომატიურ წყაროზე მითითებით აღნიშნავს, რომ კადაფი კვლავ თავის რეზიდენციაში იმყოფება მთავრობის კომპლექსში. სხვა ვერსიით, კადაფი ქალაქ ტაჟურის საავადმყოფოშია, რომელიც ტრიპოლის მახლობლადაა.

* * *



**ოპოზიციამ შტურმით აიღო ტრიპოლი და დააპატიმრა კადაფის ვაჟიშვილები. თავად პოლკოვნიკი დაიკარგა.**

ლიბიელმა მეამბოხეებმა ტრიპოლის ხელში ჩაგდების აღსანიშნავად, მწვანე მოედანზე მოაწყვეს ზეიმი. ამ ზეიმს თან ახლავს სროლები ჰაერში, ავტომობილების სიგნალები და ზეიმის მონაწილეთა აღფრთოვანებული ხმები. ამგვარი მიტინგი ფეიერვერკის თანხლებით მიმდინარეობს ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ ბენგაზშიც. მოამარ კადაფის ადგილსამყოფელი ძველებურად უცნობია.

* * *

**რუსი ჟურნალისტები და დიპლომატები ტრიპოლისთვის ბრძოლაში: დაიჭრა „იზვესტიის“ კორესპონდენტი**

ბრძოლის ხმები, რომლებიც მიმდინარეობს ოპოზიციონერებსა და ლიბიელი ლიდერის მოამარ კადაფის მომხრეებს შორის, აღწევს სასტუმრო „რიქსოსის“ რაიონამდე, სადაც ბევრი უცხოელი ჟურნალისტი ცხოვრობს. დაიჭრა გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტი ორხან ჯემალი. რუსეთის დიპლომატიურ მისიაში ასევე გვაცნობეს, რომ მათ „ყველაფერი კარგად ესმით“.

* * *

**ლოხ-ნესის ტბაში ეძებდნენ უცნობ ობიექტს, რომელიც იქ ციდან ჩამოვარდა**



შაბათს შოტლანდიის მცხოვრებლებმა, რომლებიც ლოხ-ნესის ტბასთან ისვენებენ, მიმართეს საავარიო-სამაშველო სამსახურს, განაცხადეს, რომ ტბაში ჩავარდა ცისფერი ბურთისებრი ობიექტი. მის საძებნელად გამოვიდნენ პოლიციელები, სანაპირო დაცვა, ნავები და შვეულმფრენებიც კი. მაშველები მიიჩნევენ, რომ ეს შეიძლება იყოს დელტაპლანი ან ზემსუბუქი საფრენი აპარატი.

* * *

**ადგილობრივ მცხოვრებლებთან მასობრივი ჩხუბის შემდეგ ჩინეთში ჰოსპიტალიზებულია ორი რუსი ტურისტი**

ჩხუბი მოხდა ხეიხეს ოლქის ერთ-ერთ ქალაქში. ინციდენტის დეტალებს არ ახმაურებენ გამოძიების ინტერესების შესაბამისად, რასაც ჩინური მხარე აწარმოებს. ცნობილია მხოლოდ, რომ ტრავმები რუს მოქალაქეებს მიაყენეს წვეტიანი საგნებით.

* * *

**შვედეთის მეფე გერმანული რესტორნიდან გამოაგდეს, იგი ვერ იცნეს უგვირგვინოდ**

დაწესებულების ხელმძღვანელმა მოგვიანებით ჟურნალისტებს აუხსნა, რომ ვერ იცნო მეფე და მისი მეუღლე, ვინაიდან ისინი იყვნენ „უგვირგვინოდ და სკიპტრის გარეშე“. ამას გარდა, იმ დღეს დაწესებულებაში იყო ქორწილი და თავისუფალი ადგილი აღარ იყო. ახლა რესტორნის მფლობელები ძალიან წუხან, რომ უარი უთხრეს გვირგვინოსან კლიენტებს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ პიცით დაკმაყოფილდნენ.

* * *

**საგამოძიებო იზოლატორში დაავადებული ტიმოშენკოს ადვოკატები გვაშინებენ: მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შენიშნეს მხოლოდ მისი ახალი იმიჯი**

ადვოკატებისა და თავად ტიმოშენკოს სიტყვებით, უცნობი დაავადების სიმპტომები, რომლებმაც ზიანი მიაყენეს ექსპრემიერს ციხეში, პროგრესირდება, მას „გაეზარდა სისხლის იზოლაციის ოდენობა“. მოსამართლემ ბრალდებული გამოააშკარავა მცდელობაში „მოაწყოს შოუ“. რუს ჟურნალისტებს მოეჩვენათ, რომ ტიმოშენკო ავადმყოფად არ გამოიყურება. თუმცა მისი ტრადიციული ნაწნავი გაქრა.

* * *

**ასმა ახალგაზრდა ვენესუელელმა მთლიანად გადაიპარსა თავი უგო ჩავესის სოლიდარობის ნიშნად**

კოლექტიური პარსვა მოხდა ერთდროულად რელიგიურ აქტთან, რომელში მონაწილეობისთვისაც პრეზიდენტის სასახლის მერეფლორესის წინ შეიკრიბა ასობით ევანგელისტი ქრისტიანი. ისინი ლოცულობდნენ ბოლივარიული რევოლუციის ლიდერის გაჯანსაღებისთვის. კრეჭის პროცესს თვალყურს ადევნებდა თავად ჩავესიც.

1937 წლის გამოცანის ამოხსნა



ენვერ ხოჯა

# ხრუშჩოვმა სტალინი ორჯერ მოკლა

იმპერიალისტები, ხრუშჩოველები და ყველა სხვა მტერი ბრალს სდებდნენ სტალინს, თითქოს მან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაყო გავლენის სფეროები, როდესაც შეუთანხმდა ყოფილ ანტიფაშისტურ მოკავშირეებს – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს. ეს ბრალდება, როგორც დანარჩენები, დრომ სანაგვეზე მოისროლა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სტალინი სანიმუშო სამართლიანობით იცავდა ხალხებს, მათს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მათს ეროვნულ და სოციალურ უფლებებს ანტიფაშისტურ ომში ყოფილი მოკავშირეების ჟინისაგან.

კომუნიზმის მტრები, დაწყებული მსოფლიო ბურჟუაზიული რეაქციიდან და დამთავრებული ხრუშჩოველებითა და ყველა სხვა რეაქციონერებით, ყველანაირად ცდილობდნენ, გაებუნდოვანებინათ და დაემახინჯებინათ ამ დიდი პიროვნების ყველა კარგი თვისება, ყველა მისი ნათელი აზრი და მართალი საქციელი, და ჩირქი მოეცხოთ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი პირველი სოციალისტური სახელმწიფოსთვის.

ხრუშჩოველები – ეს ახალი ტროცკისტები, ბუხარინელები, ზინოვიეველები და ტუხაჩევსკელები – მზაკვრულად ახალისებდნენ ომის მონაწილე ხალხის ქედმაღლობასა და უპირატესობას. ისინი ახალისებდნენ პრივილეგიებს ელიტისთვის, ფართო გაქანებას ბიუროკრატიზმსა და ლიბერალიზმს პარტიასა და სახელმწიფო ორგანოებში, ფეხქვეშ გათელეს ნამდვილი რევოლუციური ნორმები, და მათ შეძლეს თანდათან ჩაენერგათ ხალხში კარიერიზმი. ყოველგვარ თავის ბოროტმოქმედებას ისინი ასახავდნენ, როგორც სტალინის „მკაცრ და სექტანტურ ქცევას", როგორც მუშაობის მეთოდსა და სტილს. იმათი ეს მზაკვრული საქმე, ვინც მოქმედებდა ქვეშქვეშად, სჭირდებოდათ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის მოსატყუებლად, იმ დრომდე მიყუჩებული დისიდენტების ასამოქმედებლად.

დისიდენტებს, კარიერისტებსა და გახრწნილ ელემენტებს ისინი ეუბნებოდნენ, რომ მათთვის დადგა „ნამდვილი თავისუფლება" და რომ ეს „თავისუფლება" მათ მოუტანეს ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა ჯგუფმა. ეს იყო ნიადაგის მომზადება სოციალიზმის გასანადგურებლად საბჭოთა კავშირში.

* * *

ეს სისაძაგლეები ამოტივტივდა მალე სტალინის გარდაცვალების, ან, უფრო სწორად, სტალინის მკვლელობის შემდეგ. მე ვამბობ „სტალინის მკვლელობის შემდეგ" იმიტომ, რომ თავად მიქოიანი გვეუბნებოდა, რომ მათ ხრუშჩოვთან და მათ კომპანიასთან ერთად გადაწყვიტეს მოახდინონ თავდასხმა და მოკლან სტალინი, მაგრამ მოგვიანებით, როგორც მიქოიანი გვეუბნებოდა, გადაწყვიტეს უარი ეთქვათ ამ გეგმაზე. ეს ცნობილი ფაქტია, რომ ხრუშჩოველები მიუთმენლად ელოდებოდნენ სტალინის სიკვდილს. სიკვდილის ვითარება უცნობია.

ამ თვალსაზრისით გადაუჭრელ საიდუმლოებად რჩება საკითხი „თეთრი ხალათების" შესახებ – პროცესი კრემლის ექიმების საქმეზე, რომლებსაც სტალინის სიცოცხლეში ბრალი ედებოდათ საბჭოთა კავშირის ბევრი ხელმძღვანელის მოკვლის მცდელობაში. სტალინის სიკვდილის შემდეგ მოხდა ამ ექიმების რეაბილიტაცია, და ამით დამთავრდა ეს საქმე. რატომ მიაფუჩეჩეს ეს საქმე?! დადასტურდა თუ არა ამ ექიმების დანაშაულებრივი საქმე, როდესაც მათ ასამართლებდნენ? საკითხი ექიმების შესახებ მიაფუჩეჩეს იმიტომ, რომ, თუ გამოძიება გაგრძელდებოდა მოგვიანებითაც, თუ უფრო ღრმად ჩაიხედავდნენ საქმეში, ეს გამოავლენდა ბევრ რამეს, წარმოაჩენდა შენიღბული რევიზიონისტების (ხრუშჩოვისა და მიქოიანის მეთაურობითძ ბევრ დანაშაულსა და ბევრ შეთქმულებას. ასე შეიძლება ახსნილიყო მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების მქონე გოტვალდის, ბერუტის, ფოსტერის, დიმიტროვისა და ზოგიერთი სხვის მოულოდნელად მოკლე დროში გარდაცვალება. ასე შეიძლება დადასტურებულიყო სტალინის მოულოდნელი გარდაცვალების ნამდვილი მიზეზიც.

ხრუშჩოვმა და მისმა ჯგუფმა თავისი ქვენა მიზნების მისაღწევად და სოციალიზმთან ბრძოლის გეგმების განსახორციელებლად, უხმაუროდ და საიდუმლოდ, ერთი-მეორის მიყოლებით მოახდინეს კომინტერნის ბევრი მთავარი ხელმძღვანელის ლიკვიდაცია. ასე შეუტიეს მათ რაკოშის, სხვებთან ერთად, მოახდინეს მისი დისკრედიტაცია, რომელიც

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 150

მოხსნეს დაკავებული პოსტიდან და გადაასახლეს რუსეთის ყრუ სტეპებში.

ნიკიტა ხრუშჩოვმა და მისმა თანამოაზრეებმა „საიდუმლო" მოხსენებაში, რომლითაც ისინი გამოვიდნენ თავიანთ XX ყრილობაზე, ტალახში ამოსვარეს იოსებ ბესარიონის ძე სტალინი და შეეცადნენ დაემცირებინათ იგი ყველაზე საზიზღარი ფორმით, ყველაზე ცინიკური ტროცკისტული მეთოდებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში კადრების ნაწილის კომპრომენტაციით ხრუშჩოველებმა კარგად გამოიყენეს ისინი, შემდეგ კი პანღური ამოჰკრეს მათ, მოახდინეს მათი, როგორც ანტიპარტიული ელემენტების ლიკვიდაცია. ხრუშჩოველებმა ხრუშჩოვის მეთაურობით დაგმეს „სტალინის კულტი", რათა მიეჩქმალათ თავიანთი შემდგომი დანაშაულობანი საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის წინააღმდეგ, ცამდე აეყვანათ ხრუშჩოვის კულტი.

სიმკაცრე, ვერაგობა, მზაკვრობა, ხასიათის სისაძაგლე, დაპატიმრებანი და მკვლელობანი, რაც სისხლში ჰქონდათ გამჯდარი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თავად ამ მაღალი თანამდებობის მუშაკებს, მათ სტალინს მიაწერეს. სტალინის სიცოცხლეში სწორედ ეს ხალხი უმღეროდა მას დითირამბებს, რომ დაეფარათ თავიანთი კარიერიზმი, თავიანთი ბეჩავი მიზნები და საქმეები. 1949 წელს ხრუშჩოვი სტალინს უწოდებდა „გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს", ის ამბობდა, რომ



„ამხანაგ სტალინის სახელი – ესაა საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა დროშა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშა". მიქოიანი სტალინის ნაწარმოებებს აფასებდა, როგორც „ლენინიზმის ახალ, უფრო მაღალ ისტორიულ საფეხურს". კოსიგინი ამბობდა, რომ „ყველა ჩვენს გამარჯვებასა და წარმატებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ დიდ სტალინს" და ა.შ. და ა.შ. მისი სიკვდილის შემდეგ კი მათ სხვაგვარად დაიწყეს საუბარი. სწორედ ხრუშჩოველებმა მოაშთეს პარტიის ხმა, მოაშთეს მუშათა კლასის ხმა და საკონცენტრაციო ბანაკები გადაჭედეს პატრიოტებით; სწორედ მათ გამოუშვეს ციხეებიდან უნამუსო გამყიდველები, ტროცკისტები და მტრები, რომლებიც დრომ და ფაქტებმა წარმოაჩინეს თვალსაჩინო ადგილზე, როგორც სოციალიზმის მოწინააღმდეგეები და უცხოელი მტრების – კაპიტალისტების აგენტურა, რაც, სხვათა შორის, მათ კვლავ დაადასტურეს თავად თავიანთი ბრძოლებით, როგორც დისიდენტებმა.

ეს ხრუშჩოველები კონსპირაციულად და საიდუმლოდ „ასამართლებდნენ" და დაგმეს არა მხოლოდ საბჭოთა რევოლუციონერები, არამედ ბევრი სხვა პიროვნებაც სხვა ქვეყნებიდან. ჩემს ჩანაწერებში მე ვწერდი ერთი შეხვედრის შესახებ საბჭოთა ხელმძღვანელებთან, სადაც ესწრებოდნენ ხრუშჩოვი, მიქოიანი, მოლოტოვი და ზოგიერთი სხვა. იმის გამო, რომ მიქოიანი ავსტრიაში აპირებდა წასვლას, მოლოტოვმა, ვითომ როგორც ხუმრობაო, როდესაც მას მიმართავდა, თქვა: „ფრთხილად იყავი, ავსტრიაშიც არ აურიო ისე, როგორც ეს უნგრეთში გააკეთე". მე უმალვე შევეკითხე მოლოტოვს: „რა, ნუთუ მიქოიანმა აურია უნგრეთში?" მან მიპასუხა: „კი" და მერე დაუმატა, რომ „თუ მიქოიანი ისევ წავა იქ, მას ჩამოახრჩობენ". მიქოიანმა, ამ ფარულმა ანტიმარქსისტმა კოსმოპოლიტმა, უპასუხა მას: „თუ მე ჩამომახრჩობენ, ჩამოახრჩობენ კადარსაც". მაგრამ მათ თუ ორივეს ჩამოახრჩობდნენ, ინტრიგები და სისაძაგლე მაინც რჩებიან ამორალურ მოვლენებად.

ხრუშჩოვმა, მიქოიანმა და სუსლოვმა თავდაპირველად დაიწყეს იმრე ნადის შეთქმულთა დაცვა, შემდეგ კი დაგმეს იგი და საიდუმლოდ სიკვდილით დასაჯეს სადღაც რუმინეთში! რა უფლება ჰქონდათ მათ, ასე გასწორებოდნენ უცხოელ მოქალაქეს? ის, თუმცა შეთქმული იყო, უნდა გაესამართლებინა მხოლოდ თავის სახელმწიფოს, მის წინააღმდეგ ყველა უცხოური კანონის, სასამართლოს ან ზომების გამოყენება მიუღებელი იყო. სტალინი არასოდეს დაუშვებდა ასეთ მოქმედებას.

არა, სტალინი არასოდეს მოქცეულა ასე. პარტიისა და სახელმწიფოს მოღალატეებს ის ასამართლებდა ღიად. პარტიას, საბჭოთა ხალხს ღიად უჩვენეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობანი. ვერასოდეს მონახავ სტალინთან ისეთ მაფიოზურ მეთოდებს, რომლებსაც ნახულობ საბჭოთა რევიზიონისტ ლიდერებთან.

ასეთ მეთოდებს იყენებდნენ და იყენებენ საბჭოთა რევიზიონისტები ერთიმეორის წინააღმდეგაც მათს ბრძოლაში ხელისუფლებისთვის, როგორც ამას აკეთებენ ნებისმიერ კაპიტალისტურ ქვეყანაში. პუტჩით ჩაიგდო ხელში ხელისუფლება ხრუშჩოვმა, პუტჩითვე ჩამოაგდო იგი ტახტიდან ბრეჟნევმა.

ბრეჟნევმა და მისმა თანამოაზრეებმა გადააყენეს ხრუშჩოვი, რომ დაეცვათ რევიზიონისტური პოლიტიკა და იდეოლოგია დისკრედიტაციისგან და გამოაშკარავებისგან, რაც მისი გიჟური მოქმედებების, მისი წარმოუდგენელი სისულელეების შედეგი იყო. მას სულაც არ უარუყვია ხრუშჩოვიზმი, XX და XXII ყრილობების მოხსენებები და გადაწყვეტილებები, სადაც განსახიერებულია ხრუშჩოვიზმი. მაგრამ ბრეჟნევმა წარმოაჩინა თავი იმდენად უმადურად ხრუშჩოვთან დაკავშირებით, რომელსაც ასე აღმერთებდა, რომ მან პატარა ხვრელიც კი ვერ მონახა კრემლის კედელში, სადაც შეიძლებოდა მისი ნეშტის მიბარება, როდესაც იგი გარდაიცვალა! სხვათა შორის, საბჭოთა ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრიობა არასოდეს ყოფილა ინფორმირებული ხრუშჩოვის ჩამოგდების ნამდვილი მიზეზების შესახებ. ოფიციალურ რევიზიონისტულ დოკუმენტებში „ძირითად მიზეზად" ყოველთვის მოჰყავდათ „ხანდაზმული ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება!!

* * *

სტალინის სიკვდილის შემდეგ მარშალი ჟუკოვი ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი ჯგუფის იარაღი გახდა; ის მხარს უჭერდა ხრუშჩოვის გამყიდველურ საქმიანობას საბჭოთა კავშირის, ბოლშევიკური პარტიისა და სტალინის წინააღმდეგ. დაბოლოს, ნიკიტა ხრუშჩოვმა მოისროლა ჟუკოვი, როგორც გამოწურული ლიმონი. იგივე გაუკეთა მან როკოსოვსკისაც და ბევრ სხვა მთავარ კადრს.

ბევრი საბჭოთა კომუნისტი მოხიბლა ხრუშჩოვის რევიზიონისტური ჯგუფის დემაგოგიამ და იფიქრა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირი მართლაც გახდება ნამდვილი სამოთხე, როგორც ამის შესახებ ხმებს ავრცელებდნენ რევიზიონისტი გამყიდველები. მათ სიამაყით განაცხადეს, რომ 1980 წელს საბჭოთა კავშირში დამყარდება კომუნიზმი!! მაგრამ რა მოხდა? მოხდა პირიქით, სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო. რევიზიონისტებმა ხელისუფლება ჩაიგდეს ხელში არა საბჭოთა კავშირის ასაყვავებლად, არამედ მის უკან დასაბრუნებლად, მის გადასაქცევად, როგორც გადააქციეს კიდეც, კაპიტალისტურ ქვეყნად, ეკონომიკურად მსოფლიო კაპიტალის მორჩილად გადაქცევის მიზნით, ამერიკის იმპერიალიზმთან საიდუმლო და აშკარა შეთანხმებების დასადებად, სახალხო დემოკრატიის, ხალხებისა და ქვეყნების დასამორჩილებლად სამხედრო და ეკონომიკური ხელშეკრულებების ნიღბით, რომ ჰყავდეთ ეს ქვეყნები ულელქვეშ და შექმნან ბაზრები და გავლენის სფეროები მსოფლიოში.

(გაგრძელება იქნება)

კალათბურთი

# მათ დიდი პატივი ხვდათ



**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები უკვე ბალტიისპირეთში იმყოფება, სადაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდამდე ლატვიელებთან ორ საკონტროლო შეხვედრას გამართავს, ხოლო ლიტვის ქალაქ კლაიპედაში კონტინენტურ ფორუმში 31 აგვისტოს ბელგიელებთან მატჩით ჩაებმება.**

საწვრთნელ შეკრებაზე „ჯვაროსანთა" თავკაცმა იგორ კოკოშკოვმა, მოგეხსენებათ, 18 მოთამაშე გამოიძახა, რომელთაგანაც განაცხადს მიღმა სხვადასხვა მიზეზით ხუთნი აღმოჩნდნენ: ტორინ გრინი, მიხეილ ბერიშვილი, ნიკა მეტრეველი, კოტე ტულუში და ლევან ფაცაცია.

საბოლოოდ სერბი სპეციალისტის რჩეულნი გახდნენ გიორგი ცინცაძე, ლაშა გამყრელიძე, ანატოლი ბოისა, მარკეზ ჰეინსი, მანუჩარ მარკოიშვილი, ლაშა ფარღალავა, ვიქტორ სანიკიძე, ვლადიმერ ბოისა, თორნიკე შენგელია, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, გიორგი შერმადინი, ზაზა ფაჩულია და გიორგი შარაბიძე (სათადარიგოძ.

ბუნებრივია, მხოლოდ პროფესიონალთა და გუნდის მესვეურთა გადასაწყვეტია შემადგენლობის დაკომპლექტება, თუმცა ამთავითვე დამაფიქრებელია, რომ სამი ჩვენებური ამ ეტაპზე უკლუბოდაა.

**და კიდევ:** ქართველთა პირველმა მეტოქემ ბელგიამ ამ დღეებში ამხანაგური შეხვედრები წააგო გერმანიასთან და თურქეთთან, ხოლო ბერძნებთან გაიმარჯვა.

უნივერსიადა — 2011

# ნამუსი მოგვწმინდეს

**ჩინეთის ქალაქ შენჟენში დასრულებული მსოფლიოს 2011 წლის უნივერსიადის საჭადრაკო ტურნირის დასკვნით ტურში ქართველმა ნინო ბაციაშვილმა (2381ძ შავი ფიგურებით პოლონელი იოლანტა ზავადსკა (2405ძ დაამარცხა და თავი 6.5 ქულას მოუყარა, რაც მეხუთე ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი.**




უნივერსიადის დასკვნითი დღე წარმატებული აღმოჩნდა სხვა ქართველი მოჭადრაკეებისთვისაც. მაკა ფურცელაძემ (2364ძ შავებით რუს კარინა ამბარცუმოვას (2303ძ აჯობა, სოფიკო გურამიშვილმა (2329ძ კი ასევე შავი ფიგურებით ბრაზილიელ ანა როტერბატს (2062ძ სძლია. ფურცელაძემ 6 ქულით მეათე პოზიცია დაიკავა, ხოლო გურამიშვილი 5.5 ქულით მეცხრამეტეზე აღმოჩნდა.

გოგონათა ტურნირის გამარჯვებული ჩინელი ჟონგი ტანი (2396ძ გახდა, რომელმაც მონღოლი ბატხუაგ მუნგუნტუულისა (2457ძ და თანამემამულე ქიან ჰუანგის (2404ძ დარად, 7 ქულა დააგროვა, თუმცა, კონკურენტებს დამატებითი მაჩვენებლებით აჯობა.

ჩინელი ჩემპიონი ჰყავს ვაჟთა უნივერსიადასაც. ჩაო ლიმ (2669ძ ცხრა ტურიდან რვაში იმარჯვა, ერთი პარტია კი ყაიმით დაასრულა და მეორე-მესამე ადგილებზე გასულ თანამემამულეებს — ჰაო ვანგსა (2718ძ და იუ ვანგს (2709ძ ორი (!ძ ქულით აჯობა.

ქართველმა მოჭადრაკეებმა თამაში მოწინავე ოცეულში დაასრულეს. ლუკა პაიჭაძე (2489ძ 6 ქულით მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა, ხოლო დავით ბენიძე (2514ძ 5.5 ქულით მეჩვიდმეტე გახლდათ.

გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრებმა თავი 18.5 ქულას მოუყარა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. პირველობა, ცხადია, ჩინელებს (22.5ძ ერგოთ, ხოლო მეორე უკრაინა გახლდათ, რომელმაც ქართველებს მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლებით გაუსწრო.

დავძენთ, რომ ეს ჩვენი დელეგაციის მიერ მოპოვებული ერთადერთი ჯილდოა წლევანდელ უნივერსიადაზე.

ელიტაში

# ნახევარმეტრიანი განსხვავება ხელს არ უშლით

**ამერიკის კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ცოცხალი ლეგენდა, სუპერვარსკვლავი შაკილ ო' ნილი კარიერის დასრულების შემდეგ თავისუფალი არა მარტო ვარჯიშებისა და თამაშებისგან, არამედ ოჯახური ცხოვრებისგანაც აღმოჩნდა.**

საქმე ის არის, რომ ხუთი შვილის მამა თავის ცოლს შონი ნელსონს გაეყარა, რომელმაც ორი ვაჟი და ორი ქალიშვილი გაუჩინა, თუმცა არც ძველი მეგობარი ქალი არნეტ იარდბურგი შეირთო ცოლად, რომლისგანაც ქალიშვილი ჰყავს და ახალი სატრფო გაიჩინა.

ამერიკული რეალითი-შოუების ხშირი მონაწილე და ვარსკვლავი, ასევე ერთ-ერთის გამარჯვებული ნიკოლ ალექსანდერი ბოლო დროს სულ შაკილთან ხელიხელჩაკიდებული დაიარება, პაპარაცები კი მათ კუდში დასდევენ და ცდილობენ სენსაციური კადრების გადაღებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაფერი, ცოტა არ იყოს, კომიკურად ჩანს, რადგან სატრფოებს შორის სიმაღლეში განსხვავება... ნახევარ მეტრს სჭარბობს. გოლიათი შაკილის სიმაღლეა 2 მეტრი და 16 სანტიმეტრი, ნიკოლი კი სულ 157 სანტიმეტრის სიმაღლისაა...




**ირმა ირემაშვილი**

ფეხბურთი

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის III ტური. „ვიტ ჯორჯია" — „მერანი" (მარტვილიძ 0:0, „გაგრა" — „მეტალურგი" 2:0 (შარიქაძე, ორდინსკიძ, „ცხინვალი" — „სიონი" 0:0, „ბაია" — „კოლხეთი" 2:0 (შავგულიძე — საკუთარ კარში, ენდელაძეძ.**

ევროპის ლიგის პლეი-ოფში მონაწილეობის გამო გადაიდო „ზესტაფონი" — „დილასა" და „ტორპედო" — „დინამოს" მატჩები.

**ლიდერთა ჯგუფი:** „გაგრა" — 9, „ბაია", „დინამო" — 6-6 ქულა.

**IV ტურში (28 აგვისტო) დიდ ინტერესს იწვევს „დინამოსა" და „ზესტაფონის" შეხვედრა.**

* * *

**განვლილ უქმეებზე გამარჯვებულ შეხვედრებში ევროპული კლუბების რამდენიმე ქართველმა ლეგიონერმა ისახელა თავი.**

**იტალიის თასი.** „ჯენოა" — „ნოჩერინა" 4:3. ერთი გოლი კახი კალაძემ გაიტანა.

# აქეთურ-იქითური



**რუსეთი.** „ამკარი- — „რუბინი" 1:1. ანგარიში საბა კვირკველიამ გაათანაბრა.

**უკრაინა.** „ზარია" — „არსენალი" (კიევიძ 0:3 სანდრო კობახიძემ „დუბლი" შეასრულა.

**ინგლისი.** „ჩელსი" — „ვესტ ბრომვიჩი" 2:1, „ბოლტონი" — „სიტი" 2:3, „არსენალი" — „ლივერპული" 0:2, „ევერტონი" — „ქუინზ პარკ რეინჯერსი" 0:1.

**გერმანია.** „ბაიერნი" — „ჰამბურგი" 5:0, „მაინცი" — „შალკე" 2:4, „ბორუსია" — „ნიურნბერგი" 2:0, „ვერდერი" — „ფრაიბურგი" 5:3.

რაგბი

# ისინი მსოფლიოზე ითამაშებენ

**საქართველოს ნაკრების შოტლანდიელმა მთავარმა მწვრთნელმა რიჩი დიქსონმა ახალ ზელანდიაში, მსოფლიოს თასზე წამსვლელი 30 მორაგბის ვინაობა დაასახელა.**

**შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები" თვეზე მეტია საფრანგეთში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან. ჩვენმა გუნდმა ორი ამხანაგური შეხვედრა გამართა, რომელთა მიმდინარეობისას დაშავდნენ მესამეხაზელი ზვიად მაისურაძე და ცხრა ნომერი გიორგი ბეგაძე.**



მაისურაძემ მუხლი დაიზიანა და როგორც გაირკვა, საოპერაციოა, ბეგაძემ კი ხელი იტკინა და ისე გამოვიდა, რომ ორივე მათგანი გუნდის 30-კაციანი შემადგენლობის მიღმა დარჩა.

ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიოს თასი მესამე იქნება შვიდი „ბორჯღალოსნისთვის". ესენი არიან პირველხაზელები გოდერძი შველიძე და აქვსენტი გიორგაძე, მეორეხაზელი ილია ზედგინიძე, მესამეხაზელი გიორგი ჩხაიძე, ცხრა ნომერი ირაკლი აბუსერიძე (კაპიტანიძ, მგეზავი მერაბ კვირიკაშვილი და ფულბეკი მალხაზ ურჯუკაშვილი.

მსოფლიოს თასზე პირველად ითამაშებს საქართველოს ნაკრების ერთბაშად 14 მორაგბე: პირველხაზელები ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე და დავით ქუბრიაშვილი, მეორეხაზელები ვახტანგ მაისურაძე და გიორგი ნემსაძე, მესამეხაზელები ვიქტორ კოლელიშვილი, დიმიტრი ბასილაია და გივი ბერიშვილი, მგეზავი ლაშა ხმალაძე, შუამარბი ლაშა მალაღურაძე, გარემარბები ლექსო გუგავა, ირაკლი ჩხიკვაძე და ალექსანდრე თოდუა.

შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით საქართველოს ნაკრები საფრანგეთის საკურორტო ქალაქ კანთან ახლოს ვარჯიშობს. „ბორჯღალოსნები" ახალ ზელანდიაში ხუთ სექტემბერს, ქალაქ ქვინზთაუნში ჩავლენ, სადაც 11 სექტემბრამდე დაჰყოფენ. იქიდან ჩვენი გუნდი ინვერქარგილში გაემგზავრება და 14 სექტემბერს, მსოფლიოს თასის ჯგუფური ტურნირის პირველ შეხვედრაში შოტლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

**საქართველოს ნაკრები**

**I ხაზი:** გოდერძი შველიძე (მონპელიეძ, დავით ხინჩაგიშვილი, ვასილ კაკოვინი (ბრივიძ, აქვსენტი გიორგაძე (კასტრიძ, დავით ზირაქაშვილი (კლერმონიძ, ჯაბა ბრეგვაძე (არმიაძ, დავით ქუბრიაშვილი (ტულონიძ.

**II ხაზი:** ილია ზედგინიძე (კარკერენიძ გიორგი ნემსაძე (ვალანსიძ, ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინიძ, ლევან დათუნაშვილი (ორიაკიძ.

**III ხაზი:** ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონიძ, დიმიტრი ბასილაია (ობენაძ, გიორგი ჩხაიძე (ლელოძ, გივი ბერიშვილი (ლოკომოტივიძ, მამუკა გორგოძე (მონპელიეძ, შალვა სუთიაშვილი (მასიძ.

**№9:** ირაკლი აბუსერიძე (ოსერიძ, ბიძინა სამხარაძე (არმიაძ.

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (ფიჟაკიძ, ლაშა ხმალაძე (ლელოძ.

**№12-13:** ლაშა მალაღურაძე (უგუნდოძ, რეზო გიგაური (ფიჟაკიძ, თედო ზიბზიბაძე (პერიგოძ, დავით კაჭარავა (ნიცაძ.

**№11-14:** ლექსო გუგავა, ალექსანდრე თოდუა (ორივე-ლელოძ, ირაკლი ჩხიკვაძე (აიაძ, ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენიძ.

**№15:** მალხაზ ურჯუკაშვილი (გურდოძ.

**მსოფლიოს თასი**

**14 სექტემბერი**
**საქართველო-შოტლანდია**
**18 სექტემბერი**
**საქართველო-ინგლისი**
**28 სექტემბერი**
**საქართველო-რუმინეთი**
**2 ოქტომბერი**
**საქართველო-არგენტინა**

ინტერნეტიდან

## ისევ გამარჯვებაზე ფიქრობს

**მრავალდღიანი ველორბოლის „ვუელტას" მეორე ეტაპზე, რომლის სიგრძე 175,5 კილომეტრი იყო, ყველაზე სწრაფად ისპარეზა ავსტრალიელმა მრბოლმა კრისტოფერ სატონმა SKY-დან. საერთო ჩათვლაში ლიდერი გახდა იტალიელი დანიელ ბენატი გუნდიდან Leopard-Trek.**



ასეთი მილოცვის შემდეგ ბუნებრივია, ავსტრალიელი ისევ გამარჯვებაზე ფიქრობს.

## ესეც ინტერვიუა?!

**ინტერნეტის გმირი გახდა რეპორტიორი ქალიშვილი, რომელმაც სცადა ინტერვიუ აელო კოსტა-რიკაში, ამ ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შემდეგ კლუბ „საპრისას" მონაწილეობით. რეპორტიორი მატჩის შემდეგ ოპერატორის თანხლებით მინდორზე გავიდა და ინტერვიუ სთხოვა „საპრისას" მოთამაშე ვილსონ მუნიოსას. ის, რასაკვირველია, დათანხმდა.**



მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ქალიშვილმა რეპორტიორმა შარვალი ჩაიხადა და ფეხბურთელს სთხოვა, წარწერა მის დუნდულებზე გაეკეთებინა. ვილსონმა უარი უთხრა, მაგრამ ქალიშვილს გამომშვიდობებისას მაინც აკოცა. ამ ფოტოსურათმა კი ინტერნეტის საშუალებით მსოფლიო შემოიარა.

# საზამთრო



## როდის არის წამალი და როდის შხამი?

**საზამთროს სეზონი დაიწყო ოფიციალურად და ჩვენც უმალვე დავიწყეთ დავა, სასარგებლოა თუ არა ეს პროდუქტი, რამდენია საზამთროში ნიტრატები, თუ შეიძლება მისი ყიდვა ქუჩებში?**

ეს საკითხები ხომ დიდი ხანია რაც გადაწყვეტილია. საზამთრო — ეს, უბრალოდ, სუპერხილია, რომელშიც ძალიან ბევრი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებაა. ნიტრატები უფრო სასარგებლოა, ვიდრე საზიანო. მათთვის კი, ვინც გამოვიდა ჩვილი ასაკიდან — ეს სიზუსტეა. როგორც მინიმუმი, ისინი იცავენ გულსა და სისხლძარღვებს ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიისგან. ხოლო ცნობილ მოწამვლებს საზამთროსგან იწვევენ არა ნიტრატები, არამედ ბაქტერიები — ეს ნაყოფი ადვილად ფუჭდება. სხვათა შორის, ნიტრატების მთავარი წყარო ჩვენს საკვებში არის არა საზამთრო, არამედ ჭარხალი. მაგრამ ამ ნიტრატოფობიაზერატომლაც არ საუბრობენ. შეიძლება თუ არა ვიყიდოთ საზამრო გზებზე? იქ ხომ ანტისანიტარიაა, ავტოგამონაბოლქვები კი ვერ აღწევენ საზამთროს კანში.




### ჭეშმარიტების წილი

მეცნიერები უკვე დიდი ხანია თვალყურს ადევნებენ საზამთროს. მაგალითად, დავობენ, ახდენს თუ არა იგი გავლენას მამაკაცის პოტენციაზე. ზოგჯერ ყურადღების მისაპყრობად მას ვიაგრასაც კი ადარებენ. ამაში არის გადაჭარბების წილიც და ჭეშმარიტების მარცვალიც. საზამთროში აღმოჩენილია ნივთიერება, რომელიც სისხლძარღვებში ზრდის აზოტის ჟანგის შემცველობას. ვინ არ იცის, რომ ამისკენ მივყავართ ვიაგრასაც და რომ სწორედ ამ ნივთიერების წყალობით ეს წამალი გვეხმარება. საზამთრო კი მაინც აბებზე უფრო სუსტია: ის მოქმედებს თანაბრად მთელ ორგანიზმში (და ეს მეტად სასარგებლოაძ, პრეპარატები კი უფრო შერჩევითია, ისინი გავლენას უპირატესად ახდენენ აზოტის ჟანგის კონცენტრაციას სისხლძარღვებში „წელს ქვევით". საზამთროს ასეთ მოქმედებას უკავშირებენ ამინომჟავის ციტრულინს. ის ჩვენს ორგანიზმში გარდაიქმნება სხვა ამინომჟავის არგინინად, რომელსაც მივყავართ კიდეც ვიაგრის მსგავს მოქმედებამდე. ექსპერიმენტულად დაადასტურეს, რომ საზამთროს წვენი რეალურად ზრდის მის შემცველობას ადამიანის ორგანიზმში. და ეს მეტად სასარგებლოა: არგინინი ხომ კარგია არა მხოლოდ სისხლძარღვებისთვის, ის ამავე დროს აუმჯობესებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს ჭრილობათა შეხორცებას, დაბლა სწევს შაქარს სისხლში. სამწუხაროდ, არგინინის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ საზამთროთი რთულია, ის ხომ სეზონური პროდუქტია. ეს შეიძლება გავაკეთოთ კარგი წვენის დახმარებით, რომელიც ბევრია საზამთროში და რომელშიც ცოტა შაქარია, და არა პირიქით, როგორც ეს ჩვენში ხდება ხოლმე. „თეთრი სიკვდილის" ზედმეტი ოდენობა ხომ კლავს არგინინის სასარგებლო ეფექტებსაც. „ხშირად ამბობენ, რომ ეს გიგანტური კენკრა — საზამთროს ნაყოფი კი ბოტანიკური თვალსაზრისით სწორედ კენკრაა — შეიცავს ვიტამინ C და კალიუმის საგრძნობ ოდენობას, — გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, კვების ცნობილი სპეციალისტი ვიქტორ კონიშევი. — მაგრამ საზამთროს აქვს შარდმდენი მოქმედების უნარიც, რის შედეგადაც იკარგება ეს ვიტამინი და კალიუმი. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ საკვების ამ სასარგებლო კომპონენტების მიღება შეგვიძლია საზამთროსთან ერთად და რამდენი შეიძლება დავკარგოთ, ღიად რჩება. მაგრამ მათ გარდა საზამთროში არის ღირებული ნექტინები, რომელიც წინააღმდეგობას უწევენ ქოლესტერინისა და ტოქსინების შეწოვას. ისინი არიან არა მხოლოდ რბილობში, არამედ ქერქშიც, ამიტომ მისგან ღებულობენ კარგ ცუკატებს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ საზამთროს რბილობი შეიცავს ლიკოპინს, რომელიც ცნობილია თავისი ანტიოქსიდანტური და კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებებით. წითელი ფერის ეს ნივთიერება წინააღმდეგობას უწევს პროსტატის კიბოს განვითარებას, ლიკოპინის შემცველი პროდუქტების (საზამთრო, პამიდორიძ მოყვარულები ამ დაავადებით 45 პროცენტით უფრო იშვიათად ავადდებიან. მაგრამ ლიკოპინი იცავს ქალებსაც — მკერდის, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ყელის კიბოსგან. მას აქვს ძლიერი პოტენციალი ავთვისებიანი სიმსივნეებთან დაკავშირებით საერთოდ. მეცნიერები სერიოზულად საუბრობენ მისი უნარის შესახებაც — შეამციროს ფილტვების, კუჭქვეშა ჯირკვლების, კუჭის, საყლაპავი მილის, პირისა და კანის კიბოს რისკიც".

### ოჯახი

ლიკოპინი — ეს არის ვიტამინ A და ბეტა-კაროტინის უახლოესი ნათესავი. ყველა მათგანი შედის კოროტინოიდების ოჯახში, რითაც მეტად მდიდარია საზამთრო, — ზოგიერთის შემადგენლობით იგი უბრალოდ რეკორდსმენიცაა. და ამ ოჯახის თითოეულ წევრს აქვს თავისი ღირსებანი.

ბეტა-კაროტინი და ბეტა-კრიპტო-ქსანტინი წყვილად მუშაობენ. ნაწილობრივ ისინი გარდაიქმნებიან ორგანიზმში A ვიტამინად. დანარჩენი ნაწილი მუშაობს დამოუკიდებლად, გვიცავს ჩვენ ინფარქტებისგან, ინსულტებისგან და კიბოს მრავალი სახეობისგან, განსაკუთრებით ფილტვების კიბოსგან.

ლუტეინი და ზაექსანტინი — მეორე ტკბილი წყვილია. ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კატარაქტისგან და მხედველობის დაკარგვის მეორე ყველაზე ხშირი მიზეზისგან — ასაკობრივი მაკულარული დეგენერაციისგან. ავადმყოფობა ვითარდება წლების განმავლობაში, არ იკურნება და პროგრესირებადი ხდება. მაგრამ კაროტინოიდების შემცველი პროდუქტები ამცირებენ მისი განვითარების რისკს 36 პროცენტით. ასეთ ეფექტს რომ მივაღწიოთ, საკმარისია დღეში მივირთვათ საზამთროს ერთნახევარი-ორი ნაჭერი.

ამას წინათ ამერიკელებმა რევოლუცია მოახდინეს საზამთროს შენახვაში. ისინი გვირჩევენ მთელი საზამთრო შევინახოთ არა მაცივარში, არამედ ოთახის ტემპერატურაზე. მათი მოკრეფიდან ორი კვირის განმავლობაში ისინი აგროვებენ კვლავ კაროტინოიდებს: ლიკოპინის შემცველობა იზრდება 40 პროცენტით, ბეტა-კაროტინისა — 1,5-3-ჯერ! მაგრამ როგორც კი გაჭრით საზამთროს — შეინახეთ იგი მაცივარში, რომ არ გაფუჭდეს.

**ალექსანდრ მელნიკოვი**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

**ინტერნეტგამოკითხვა**

**სად ყიდულობთ საზამთროს?**

- ბაზარზე — 41 პროცენტი (114 ხმა),
- მაღაზიაში — 23 პროცენტი (66 ხმა),
- ქუჩის გამყიდველებთან — 18 პროცენტი (41 ხმა),
- საზამთროს საერთოდ არ ვჭამ — 18 პროცენტი (51 ხმა).

**სულ ხმები: 282**

**სანთელი**

## ვასილ რჩეულიშვილი



რამდენჯერ გვსმენია, ადამიანის ბოლომდე კარგად გასაცნობად მასთან ერთად ერთი ფუთი მარილი უნდა შეჭამოო. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ამშვენებენ ჩვენს პრობლემებით დახუნძლულ ცხოვრებას პიროვნებები, რომლებსაც საკუთარი ღირსებების წარმოსაჩენად არც დრო სჭირდებათ და არც ხელოვნურად შექმნილი ვითარება. ისინი უფლისგან მომადლებული უნარით თესავენ სიკეთეს და უანგაროდ, სავსებით ბუნებრივად აკეთებენ კაცურ საქმეს.

ხანმოკლე ურთიერთობამ და სულ რამდენიმე შეხვედრამ დამარწმუნა, რომ სწორედ ასეთი გახლდათ ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საზოგადოებრიობაში გვარიშვილობითა და ოჯახიშვილობით დაფასებული, სანათესაოს კოლორიტული წარმომადგენელი ვასილ რჩეულიშვილი, რომელსაც, ჯერაც ჯან-ღონით აღსავსეს, ამ 40 დღის წინათ სამშობლოს ტკივილებით დასერილმა გულმა უმტყუნა...

დაიბადა 1955 წელს. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, იალტის საკავშირო მეღვინეობა-მევენახეობის ინსტიტუტ „მაგარაჩის" ასპირანტურა. მინიჭებული ჰქონდა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია მეღვინეობის განხრით, მიღებული პროფესიული ცოდნა კი ბატონმა ვასიკომ პრაქტიკულად გამოიყენა ისეთ პასუხსაგებ უბნებზე მოღვაწეობისას, როგორიცაა კვების მრეწველობის სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე მეღვინეობის დარგში, კომპანია „შპს მეღვინეობა ხარებას" მთავარი მეღვინე, სადაც პერიოდულად ითავსებდა დირექტორის თანამდებობასაც, კონსულტანტი ღვინის ქარხნებში. გამოქვეყნებული ჰქონდა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომები.

აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა...

**გია პლატონიშვილი**

რომან კიზირია ოჯახით მწუხარებას გამოხატავს
ლამარა წულაია-კიზირიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით მწუხარებას გამოხატავს
ლამარა წულაია-კიზირიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს არკადი კიზირიას ოჯახს დედის
ლამარა წულაია-კიზირიას
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.

---

რუსუდან, პეტრე, ალექსანდრე ჩხეიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ უსაყვარლესი ბიძაშვილი
მედიკო ჩხეიძე-წერეთლისა
და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

## მარიამობის დღესასწაულისთვის კიდევ რამდენიმე პატიმარს შეიწყალებენ

შეწყალების კომისიის სხდომა გუშინ შეიკრიბა და 230 პატიმრის საქმეზე იმსჯელა.

როგორც პრეზიდენტის სასახლეში მიმდინარე სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებს შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განუცხადა, შესაწყალებელ პატიმართა სიაში 39 ქალი, 2 კი არასრულწლოვანია.

მისივე თქმით, განაცხადებს შორის არის სხვადასხვა კატეგორიის საქმეები, თუმცა განხილვისას უპირატესობა მიენიჭება მსუბუქ დანაშაულს და იმ პატიმრებს, რომლებიც ქრონიკულად არიან დაავადებული.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

**ინფორმაცია**

### დედოფლისწყაროში ცოფის საწინააღმდეგო მკურნალობა 28 ადამიანს უტარდება

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მათ შორის ერთი 6 წლის ბავშვია, რომელიც კატამ დაკაწრა.

— ბავშვი სახეზე და ყელზე იყო დაკაწრული, მას შესაბამისი ვაქცინის გარდა ესაჭიროებოდა პრეპარატი იმუნოგლობულინი, რომელიც ჩვენ საავადმყოფოში არ გვქონდა. პაციენტი თბილისში აიცრა და ამჟამად თავს კარგად გრძნობს. კატა კი მეორე დღეს მოკვდა. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად ცხოველს ცოფი დაუდგინდა. იმავე დღეს ავცერით 28 ადამიანი, ვისაც კატასთან კონტაქტი ჰქონდა. პაციენტებს სულ ხუთი აცრა უნდა ჩაუტარდეთ, — განაცხადა ეპიდემიოლოგმა ლალი ალადაშვილმა.

### გიორგიწმინდის დასახლებაში რამდენიმე შენობა დაიწვა

ცეცხლი თავდაპირველად ბალახს მოედო და შენობებზე სწორედ იქიდან გავრცელდა. არსებობდა საფრთხე, რომ ხანძარი საცხოვრებელ კორპუსებზეც გადასულიყო, თუმცა მეხანძრეებმა ის დროულად ჩააქრეს.

დამწვარია 200 კვადრატულ მეტრამდე ფართობი.

### სტამბოლში მგზავრებით სავსე ავტობუსი ავარიაში მოჰყვა

თურქეთში საქართველოსკენ მომავალი, მგზავრებით სავსე ავტობუსი ავარიაში მოჰყვა. შემთხვევა სტამბოლის ოქროს რქის უბანში მოხდა. ავტობუსს მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

თურქული მედიის ცნობით, ევროპა-აზიის ხიდთან ავტობუსს საბურავი დაუზიანდა და მძღოლი იძულებული გახდა ტრანსპორტი გაეჩერებინა, რა დროსაც ავტობუსს საპირისპიროდ მოძრავი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავდა მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი და მისი მგზავრი – ისინი საავადმყოფოში იმყოფებიან. ექიმები მათ მდგომარეობას საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ.

## სპეციალისტები გვირჩევენ

### ლაზერი ყველასათვის არაა

**ბავშვობიდან ახლომხედველი ვარ. მინდა გავიკეთო მხედველობის ლაზერული კორექცია. მინდოდა გამეგო, თუ არსებობს რაიმე დაავადება, რომლის დროსაც ლაზერულ კორექციას საწინააღმდეგო მაჩვენებლები აქვს?**

**გიორგი თ. ჩხოროწყუ**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმი-ოფთალმოლოგი თამარ სირბილაძე:**

— აუცილებელია, რომ ოპერაციის დროს პაციენტი იყოს ჯანმრთელი. შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევა, აუტოიმუნური და ფსიქიკური დაავადებანი, ფსორიაზი, ნეიროდერმიტი, ჰერპესი აქტიურ სტადიაში — საწინააღმდეგო მაჩვენებლებისაა. ანალიზის შეკრების დროს ექიმმა ყურადღება უნდა მიაქციოს პაციენტის ემოციურ მდგომარეობას. ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტებს ურჩევნიათ დამალონ თავიანთი დაავადებანი, და მაშინ წინა პლანზე გამოდის ექიმის გამოცდილება და ინტუიცია, რომ არ გამორჩეს ესა თუ ის პრობლემა. ამიტომ პირველმა კონსულტაციამ ექიმთან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკავოს რამდენიმე წუთი — ეს უნდა იყოს ხანგრძლივი და დაწვრილებითი საუბარი.



### სასწაულებრივი მისაწებებელი

**ამ დღეებში აფთიაქში შევიარე. იქ კი აუარებელი ტკივილგამაყუჩებელი სალბუნია: სიცხის საწინააღმდეგოც და ტკივილგამაყუჩებელიც ზურგზე, მენსტრუალური ტკივილების მოსახსნელიც. ნუთუ სალბუნს შეუძლია მკურნალობა, თუ ეს მომხმარებელთა მორიგი მოტყუებაა?**

**ანიკო თ. ხარაგაული**

**გვიპასუხებს ექიმი-თერაპევტი თინა ზედგენიძე:**

— არა, ეს მოტყუება არაა. ეს არის ორგანიზმში აქტიური ნივთიერების შეყვანის განსაკუთრებული საშუალება, რომელსაც ტრანსდერმალური თერაპიული სისტემა ეწოდება. თავად სიტყვა „ტრანსდერმალური“ ნიშნავს — „კანის მეშვეობით“. შესაბამისად, ამ სისტემაში მთავარი სამკურნალო ფორმა არის არა აბი ან ამპულა, არამედ ჩვეულებრივი სალბუნი. მაგრამ, მიუხედავად თავისი არცთუ მიმზიდველი გარეგნული შეხედულებისა, ამ პრეპარატს აქვს ბევრი მნიშვნელოვანი უპირატესობა. მისი ინგრედიენტები არ გაივლიან საკვების დამუშავების ტრაქტს, რაც აქვეითებს კუჭ-ნაწლავთა მოშლილობის რისკს. ხოლო თუ სალბუნის



გამოყენების შემდეგ ადამიანი თავს ცუდად იგრძნობს ან მას განუვითარდა ალერგიული რეაქცია, უმალვე შეიძლება მისი აცლა, რითაც უმალვე მოვსპობთ წამოჭრილ პრობლემას. მაგრამ როდესაც წამალი შეგვყავს ორგანიზმში, ამის მიღწევა გაცილებით ძნელია. ტრანსდერმალური თერაპიული სისტემა, ადგილობრივ ტკივილგამაყუჩებელ კრემებთან შედარებით, უზრუნველყოფს უფრო ხანგრძლივ ეფექტს, ვინაიდან სამკურნალო სალბუნების ჰერმეტული მიწებების დროს მოქმედი ნივთიერებანი ორგანიზმში შედიან თანდათან, ინარჩუნებენ ოპტიმალურ კონცენტრაციას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ზემოქმედების ვადა — მთელი 8 საათია. ასეთი სალბუნები სასარგებლოა ისეთი დაავადებების სამკურნალოდ, როგორებიცაა არტრიტი, ტკივილები ზურგში, კუნთებში, დაჭიმვები, აგრეთვე ტკივილების შესამსუბუქებლად და განწყობილების გასაუმჯობესებლად მაღალი ტემპერატურის დროს.

### მზის ნოკაუტი

**ამ ცოტა ხნის წინათ შვილთან ერთად ვიყავი პლაჟზე და დავინახე, თუ როგორ გახდა ცუდად ერთი ბიჭი დასიცხვის გამო. მშობლებმა ის სასწრაფოდ ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს. მე კი დავფიქრდი: რა უნდა ვქნა, ვინმემ ჩემს გვერდით მზის დარტყმა რომ მიიღოს?**

**ქეთევან მალხაზიშვილი, ქსანი**

**გვიპასუხებს ექიმი-თერაპევტი ნინო ცინცაძე:**

— სითბოს ან მზის დარტყმის ეჭვის დროს უნდა გამოვიძახოთ „სასწრაფო დახმარება“. სანამ ექიმები მოვიდოდნენ, აუცილებელია:



●რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავიყვანოთ დაზარალებული გრილ შენობაში ან ჩრდილში, შევუხსნათ ტანსაცმელი, დავაწვინოთ ზურგზე, დავუდოთ თავისა და ფეხების ქვეშ ბალიშები ან დახვეული საბანი. თუ საშუალება იქნება, ავადმყოფი უნდა დავაწვინოთ კონდიციონერის ან ვენტილატორის გვერდით.

● თუ ადამიანს გონება არ დაუკარგავს, უნდა დავალევინოთ ცივი წყალი (პატარ-პატარა ყლუპებით). წყალს შეიძლება დავუმატოთ მარილი (ნახევარი ჩაის კოვზი ჭიქაზე). კარგია ვალერიანის ნაყენი: 20 წვეთი ჭიქა წყლის ერთ მესამედზე. შეიძლება ვასუნთქებინოთ ნიშადურის სპირტი ან ძმარი.

●თავსა და მკერდზე უნდა დავადოთ ცივ წყალში დასველებული პირსახოცი, დავუზილოთ სხეული ცივი წყლით. უმჯობესია უარი ვთქვათ რადიკალურ ზომებზე: არ გადავავლოთ დაზარალებულს ყინულიანი წყალი, არ ჩავაწვინოთ ის ცივ აბაზანაში.

●თუ დაზარალებულმა გონება დაკარგა, გავუკეთოთ ხელოვნური სუნთქვა, გულის დახურული მასაჟი. ორგანიზმში სითბოს მიმოქცევა რომ უფრო სწრაფად მოხდეს, უნდა გავუკეთოთ ხელებისა და ფეხების მასაჟი.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● გოტიკის სამშობლოდ მიჩნეულია საფრანგეთი.

● მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ჯარისკაცებმა გერმანიაში 2 მილიონი ქალი გააუპატიურეს.

● ვიეტნამელები, მათივე მტკიცებით, მხოლოდ უჭკუო ძაღლებს ჭამენ.

● ებრაული ტრადიციის თანახმად, მამაკაცმა საკუთარ შესაძლებლობასთან შედარებით უარესად უნდა ჩაიცვას, ბავშვებს შესაძლებლობის შესაბამისად ჩააცვას, ხოლო ცოლს იმაზე უკეთ, ვიდრე ამის შესაძლებლობა აქვს.

● XIX საუკუნეში ჩერქეზი მამაკაცები მარჯვენა ხელის ცერზე მასიურ ბეჭედს ატარებდნენ, რადგანაც კაჟიანი თოფის ჩახმახი საკმაოდ ძნელი შესამართი იყო და ამისთვის ბეჭედს იშველიებდნენ.

● საფრანგეთში ერთ-ერთი ყვავილების მაღაზიას ასეთი სარეკლამო წარწერა ამშვენებს. „ჩვენთან ყვავილები ისეთი იაფია, რომ მათი შეძენა ქმრებსაც კი შეუძლიათ“.

● ძველ სპარტაში არსებობდა არჩევითი თანამდებობა ჩინოვნიკისა, რომელსაც ევალებოდა, დამთვრალიყო და ასე ევლო ქალაქის ქუჩებში. ეს თანამდებობა შემოღებული იყო იმ მიზნით, რომ ახალგაზრდებისათვის უნდა ყოფილიყო თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ რა საშინელებაა ლოთობა და რა უსუსურია ლოთი ადამიანი.

● ლონდონში პოპულარობით სარგებლობს პატარა რესტორანი, რომლის მეპატრონეც აბსოლუტურად მელოტია. ასევე მელოტია რესტორნის ყველა თანამშრომელი. რესტორნის სარეკლამო ფირნიშის თანახმად, მათ კერძებში ვერასდროს იპოვით — თმას.

● ერთ-ერთ მეომარს, რომელიც რამდენჯერმე გაიქცა ბრძოლის ველიდან, ალექსანდრე მაკედონელმა უთხრა: ან სიმამაცეს მოუხმე ან სახელი გამოიცვალეო. ჯარისკაცის სახელი იყო ალექსანდრე.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## სტუდენტთა საყურადღებოდ!

აკადემიკოს ალექსანდრე კუჭუხიძის **საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის ეკონომიკურ, სამართალმცოდნეობისა და ჟურნალისტიკის II, III და IV კურსებზე ნებადართულია** ამავე პროფილის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან საამისო სურვილის მქონე სტუდენტთა გადმოყვანა. **ამ უნივერსიტეტში სწავლების წლიური საფასურია 1700 ლარი.** საბუთების მიღება იწარმოებს 25 სექტემბრამდე. სასწავლო წელი დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 45. საკონტაქტო ტელეფონები: 2 31 18 50, 2 31 14 75.

**რექტორატი**

## კადრი



## ანეკდოტები

მილიონერი თავის ექიმს ესაუბრება.

— იცით რა, გადავწყვიტე, აწი ჰონორარი კი არ გადაგიხადოთ, არამედ ამის სანაცვლოდ ჩემს ანდერძში შეგიყვანოთ. კმაყოფილი ხართ?

— რა თქმა უნდა. მხოლოდ რეცეპტი დამიბრუნეთ, მასში ზოგიერთი რამ უნდა შევცვალო.

* * *

ათეიზმის გაკვეთილზე მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ღმერთი არ არსებობს.

— ბავშვებო, გინახავთ ღმერთი?

— არა.

— აი, ხომ ხედავთ, რომ არსებობდეს, ხომ ნახავდით?



უკანა მხრიდან მიხო იწევს ხელს.

— მასწ, კითხვა შეიძლება?

— შეიძლება.

— ბავშვებო, თქვენ გინახავთ ჩვენი მასწავლებლის ტვინი?

* * *

ბაღში ბიჭი და გოგო მოფარებულში განმარტოებული სხედან ძელსკამზე.

— პეტკა, მოიხსენი სათვალე, კოლგოტკას მიხევ!

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ისმის გოგოს ხმა:

— პეტკა, გაიკეთე სათვალე, თორემ სკამს ლოშნი!!

* * *

ფეხბურთის მსაჯმა სიჩქარეში მოთამაშეს ბარათის ნაცვლად პრეზერვატივი აჩვენა.

თამაშის ბოლომდე წესების დარღვევა არავის გაუბედავს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24